საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი-კვირა, 16-18 აპრილი. 2021 წ. №81-82 (9200-9201) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

გახარია პოლიტიკურ ველზე შემოვიდა. წერტილი!

შესანიშნავი ექვსეული და ხმა „ჭ“ კლასიდან

3

ხრუშჩოვმა სტალინის იდეა განახორციელა...

ყირიმი როკფელერების ყოფილა!

8

ლაშა გიორგაძე:

უხმლოდ, უსისხლოდ, უომრად

7

ეროვნული „ჰესოფობიის“ სათავიდან დღემდე!

„როდის ჩამოყალიბდა ეს ჩლუნგი ფსიქიკა“?!

როგორ იყო „ხუდონჰესის“ შემთხვევაში?!

საბჭოთა საქართველოში ჰესების მშენებლობა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე მეტად სოციალიზმის, უფრო ზუსტად კი, კომუნიზმის მშენებლობასთან ასოცირდებოდა. „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს ელექტროფიკაცია“ — ლენინის ამ ცნობილ ფორმულაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჰესების მშენებლებს აჯილდოებდნენ სტალინურ-ლენინური პრემიებით და მედლებით, აწინაურებდნენ სამსახურში, საკუთრივ ელექტროსადგურებს კი უძღვნიდნენ ლექსებს, პოემებს, მხატვრულ ტილოებსა და კანტატებს. ასე იყო ზაჰესის, რიონჰესის, ჟინვალჰესის, ენგურჰესის და სხვა ჰესების შემთხვევაში, ვიდრე ხუდონამდე. სწორედ „ხუდონჰესი“ შეიძლება მივიჩნიოთ სამამულო „ჰესოფილიის“ შემობრუნების წერტილად, ეროვნული „ჰესოფობიის“ სათავედ და ეკოლოგიური აზროვნების პირველ გამოღვიძებად, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს ეროვნულ მოძრაობასთან ერთად იშვა.

შემობრუნება

„დღეს ჩვენს მიწა-წყალზე შენდება ენგურჰესი, ჟინვალჰესი, ვარციხჰესი, ალაზნის სარწყავი სისტემა, მადნეული, ქალაქებს ემსგავსებიან აწინდელი დაბები... მთების გულში გვირაბებიც კი უნდა გაიყვანონ... მშენებლობის ისეთი გეგმა დაისახა, წარსულში ოცნებაც რომ არ შეგვეძლო“, — წერდა მწერალი ნოდარ წულეისკირი 1975 წელს ენგურჰესის მშენებლობიდან გაკეთებულ საგაზეთო რეპორტაჟში **„ქვეყნის არამყარი ბალავარი“**, რომლის პოზიტიურ ტონში ერთადერთ პრობლემად გამოსჭვიოდა დემოგრაფიული ბალანსის დარღვევის შიში, შენიღბული ადგილობრივი კადრების სიმცირეზე ჩივილით: **„ვინ უნდა განახორციელოს ეს დიდი გეგმა? ჩვენს მიწაზე ჩვენ თვითონ უნდა ავაშენოთ საკუთარი სახლ-კარი. მეზობელი შეიძლება ერთ-ორ დღეს ამოგვიდგეს მხარში, ფული გვასესხოს, სამუშაო იარაღები გამოგვიგზავნოს, მუდამდღე კი ჩვენ ჩვენს საქმეს ვერ გააკეთებს. თუ გააკეთებს, თუ ჩამოვა და აქ დამკვიდრდება, მაშინ ჩვენს მიწას, ჩვენს ლამაზ მთა-ბარსაც ის დაეპატრონება“.**

იხ. 4-5 გვ.

კახა კალაძე:

იპოდრომის დასასვენებელ წალკოტს ივანიშვილის ფონდი „ქართუ“ აშენებს!



იპოდრომის ყოფილი ტერიტორია, სადაც რეკრეაციული სივრცე მოეწყობა და რომელსაც საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“ აკეთებს, საჩუქრად ივანიშვილების ოჯახიდან გადმოეცა მუნიციპალიტეტს და პროექტსაც თვითონ უშუალოდ ახორციელებს ფონდი „ქართუ“. კიდევ ერთხელ მინდა, მივმართო იმ ადამიანებს, ვისაც სურვილი აქვს, ჩაერთოს და მიიღოს სრული ინფორმაცია ამ პროექტთან დაკავშირებით, თუ როგორი კონკრეტული სივრცე, როგორ ფორმაში იქნება წარმოდგენილი სამუშაოების შემდეგ. რა თქმა უნდა, ჩვენ მოვახერხებთ და უზრუნველვყოფთ ადამიანების ჩართულობას, რომ მეტი ინფორმაცია მიიღონ, მეტი სრულყოფილება ჰქონდეთ ამ პროექტთან დაკავშირებით, თუ რა გაკეთდება და როგორი იქნება. თუმცა ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ეს იქნება ყველაზე მაგარი დასასვენებელი ადგილი, რეკრეაციული სივრცე, ნამდვილი წალკოტი, სადაც ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა, განიტვირთონ, დაისვენონ, გაერთონ და ასე შემდეგ.

საპატრიარქო „ნამახვანჰესზე“:

დაუშვებელია ვითარების ესკალაცია!

პატივისცემით მივმართავთ ყველა მხარეს და ვთხოვთ, ხელი შეუწყონ პროცესების მშვიდობიანად და სამართლიანად წარმართვას, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში, რომლითაც იგი „ნამახვანჰესის“ პროექტთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება.

საპატრიარქო აცხადებს, რომ შემაშფოთებელია ის დაძაბულობა, რაც უკანასკნელ დღეებში რიონის ხეობაში მიმდინარე პროცესებს თან ახლავს.

„მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, შედგეს დიალოგი, სადაც დაინტერესებულ მხარეებს, პასუხისმგებელ პირებსა და სპეციალისტებს მათთვის მნიშვნელოვანი კითხვების დასმისა და პასუხების მოსმენის საშუალება მიეცემათ. ეს დიალოგი არ უნდა იყოს ფორმალური, არამედ ყველა საშუალება უნდა იყოს გამოყენებული, რათა აღარ დარჩეს გაუგებრობები „ნამახვანჰესის“ პროექტთან დაკავშირებით და საზოგადოებასაც ობიექტური ინფორმაცია მიეწოდოს. დაუშვებელია ვითარების შემდგომი ესკალაცია, დაუშვებელია კატეგორიული ტონი, რომელიც არ ტოვებს ურთიერთმოსმენის შესაძლებლობას. პატივისცემით მივმართავთ ყველა მხარეს და ვთხოვთ, ხელი შეუწყონ პროცესების მშვიდობიანად და სამართლიანად წარმართვას“, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ლევან ნიკოლეიშვილი: მალე საზოგადოება ნათლად იხილავს, რომ ჰესის წინააღმდეგ მოქმედებები ჩრდილოეთიდან იმართება

გამორიცხული იყო, რომ რუსული კვალი ნამახვანის პროტესტში დამალულიყო და აგერ ბატონო, წერს სოციალურ ქსელში ანალიტიკოსი ლევან ნიკოლეიშვილი... მისი განმარტებით, ირაკლი შიხიაშვილი დავალებებს პირდაპირ რუსეთიდან იღებს.

„გამორიცხული იყო, რომ რუსული კვალი ნამახვანის პროტესტში დამალულიყო და აგერ, ბატონო, — პირველი მერცხალიც გამოჩნდა — ირაკლი შიხიაშვილი გამოვიდა ასპარეზზე, ადამიანი, რომელიც არათუ დაკავშირებულია რუსეთთან, არამედ დიდი ეჭვია, რომ პირდაპირ დავალებებს იღებს რუსეთიდან. ეს დასაწყისია, ძალიან მალე საზოგადოება ნათლად იხილავს, რომ ჰესის წინააღმდეგ მოქმედებები ჩრდილოეთიდან იმართება, სწორედ იქიდან, ვისაც ყველაზე მეტად არ აწყობს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა“, — წერს ლევან ნიკოლეიშვილი.

სომხეთის პრეზიდენტი არმენ სარქისიანი საქართველოშია

თბილისს ოფიციალური ვიზიტით გუშინ სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არმენ სარქისიანი ეწვია. სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვდნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დავით ზალკალიანი, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ნათია სულავა, საქართველოს ელჩი სომხეთის რესპუბლიკაში გიორგი საგანელიძე.

არმენ სარქისიანისა და ნუნე სარქისიანის დახვედრის ოფიციალური ცერემონია ორბელიანების სასახლეში გაიმართა. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და საქართველოს პრეზიდენტის პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში შეხვედრა მოეწყო, რის შემდეგაც არმენ სარქისიანმა და სალომე ზურაბიშვილმა პრესისთვის ერთობლივ განცხადებები გააკეთეს.

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძეს შეხვდა. სომხეთის პრეზიდენტმა თბილისში სომხური საკათედრო ტაძარი დაათვალიერა.

ჯეიმს აპატურაი: აუცილებელია პოლიტიკური პარტიები შეთანხმდნენ და კომპრომისზე წავიდნენ

...საქართველოს პრემიერ-მინისტრის ნატოში ვიზიტის დროს ხაზი გაესვა ფუნდამენტურად ძლიერ პარტნიორობას საქართველოსა და ნატოს შორის. ნატოში ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავთ ასპირანტი ქვეყნის წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. საქართველოში პოლიტიკური პოლარიზების გამო ნატოს წევრი სახელმწიფოები შეშფოთებულები არიან.

საქართველოში პოლიტიკური პარტიები აუცილებელია, შეთანხმდნენ და ამისთვის ისინი კომპრომისზე უნდა წავიდნენ. აუცილებელია, საქართველოში რეფორმები გაგრძელდეს.ეს რეფორმები სჭირდება ქართველ ხალხს, ქვეყანას, რომელიც მიიწევს ნატოს მომავალი წევრობისკენ და ამას სჭირდება სრულყოფილად ფუნქციონირებადი პოლიტიკური სისტემა და არა ისეთი პოლარიზებული სისტემა, როგორიც დღეს არის საქართველოში“, — განაცხადა ჯეიმს აპატურაიმ.

რუსეთს მოუწოდებენ, უკრაინის საზღვრიდან ჯარები გაიყვანოს

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა რუსეთს მოუწოდეს, უკრაინის საზღვრიდან ჯარები გაიყვანოს რეგიონში ვითარების დეესკალაციის მიზნით.

„კანცლერი და პრეზიდენტი შეთანხმდნენ, რომ რუსეთმა უნდა შეამციროს ბოლოდროინდელი სამხედრო გაძლიერება, სიტუაციის დეესკალაციის მიზნით“, — აღნიშნა გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში ვითარება კვლავ დაძაბულია.

ამერიკელებთან ერთად ავღანეთს ქართველი ჯარისკაცებიც დატოვებენ

ამერიკის სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის განცხადებით, ნატოს ხელმძღვანელობით ავღანეთში მყოფი უცხოეთის ჯარები ქვეყანას სექტემბერში დატოვებენ. საუბარია 7 000 სამხედროზე, რომლებიც ავღანეთში მოქმედ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მისიაში მსახურობენ.

გადაწყვეტილება, რომელიც ხანგრძლივი განხილვის შემდეგ იქნა მიღებული, შეეხება ქართველ, ავსტრალიელ და ახალ ზელანდიელ სამხედროებსაც, რომლებიც ნატოს ეგიდით მოქმედ მისიაში უკვე წლებია, არიან ჩართულნი. ნატოს არაწევრი ქვეყნის სამხედროების რაოდენობა 7 000-მდეა, ავღანეთში ამერიკელი სამხედროების რაოდენობა კი 2 500-ს აღწევს.

უცხო ქვეყნების ჯარების გამოყვანის გადაწყვეტილება ბრიუსელში საჯაროდ გუშინ გამოცხადდა. ამერიკელი სამხედროების გამოყვანის შესახებ გადაწყვეტილება კი ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით, გუშინწინ გახდა ცნობილი. სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით ამერიკელი ჯარისკაცები ავღანეთს 11 სექტემბრამდე დატოვებენ. ყველაზე ხანგძლივი ომი 20 წლისთავზე სრულდება. მისია ავღანეთში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ დაიწყო.

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში მყოფი უცხო ქვეყნის სამხედროების უსაფრთხოებასა და საჰაერო მხარდაჭერას ამერიკის საჰაერო ძალები უზრუნველყოფს. ამერიკის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ამბობს, რომ მისია ყველამ ერთად დაიწყო და ახლა დადგა დრო, ის ყველამ ერთად დაასრულოს.

ქართული მხარის შეფასება

სალომე ზურაბიშვილი:

საქართველო მრავალი წელია, აქტიურად მონაწილეობს ავღანეთში მიმდინარე ნატოს საერთაშორისო მისიაში.

მტკიცე მხარდაჭერის მისიის დაწყების დღიდან ქართულმა ჯარმა საგულისხმო წვლილი შეიტანა ავღანეთში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ურთულეს პროცესში.

საამაყოა ის პროფესიონალიზმი და თავდადება, რითაც ქართველმა სამხედროებმა თავი დაამახსოვრეს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს. ქართული ჯარის პროფესიონალიზმი ყოველთვის იმსახურებდა, როგორც ნატოს, ისე პარტნიორი ქვეყნების მაღალ შეფასებას.

ამ რთული მისიის შესრულებით საქართველომ მრავალგზის დაამტკიცა, თუ რამდენად დიდი და მნიშვნელოვანია მისი როლი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობისათვის.

მადლობას ვუხდი ყველა სამხედროს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე და ჯანმრთელობა შესწირა მშვიდობისათვის ბრძოლას და ღირსეულად ატარა ქართული დროშა.

ქართული ქვედანაყოფები ავღანეთში მტკიცე მხარდაჭერის მისიას ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ეტაპობრივად დატოვებენ.

აუცილებელია, რომ მომავალში ავღანეთში ხანგრძლივად შენარჩუნდეს უსაფრთხო და მშვიდობიანი გარემო, რომლის ჩამოყალიბებაშიც საქართველო ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან ერთად იღვწოდა.

მტკიცე მხარდაჭერის მისიაში მონაწილეობით ქართულმა ჯარმა დაამტკიცა, რომ ნატოსკენ მიმავალ გზაზე შესწევს უნარი ღირსეულად და პასუხისმგებლობით გაართვას თავი კოლექტიური თავდაცვისა და უსაფრთხოების კუთხით არსებულ ამოცანებს.

ვამაყობთ, რომ საქართველომ, ნატოს სანდო და საიმედო პარტნიორმა, ალიანსის წევრებთან ერთად უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ირაკლი ღარიბაშვილი:

საქართველოს მრავალი წელია, ღირსეული წვლილი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ჩვენი მებრძოლები აქტიურად მონაწილეობენ ნატოსა და ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციებსა და მისიებში. საქართველო პირველად 2004 წელს ჩაერთო და ბოლო ათი წლის განმავლობაში უწყვეტად მონაწილეობდა ავღანეთში მიმდინარე ნატოს მისიაში. ჩვენი ქვეყანა RSM-ის მისიის ერთ-ერთი უმსხვილესი კონტრიბუტორია. 860 ქართველი სამხედრო დღესაც მსახურობს ავღანეთში ნატოს კონტიგენტის შემადგენლობაში.

ავღანეთში ჩვენმა სამხედროებმა არაერთგზის დაამტკიცეს, რომ საქართველოს შეუძლია, ღირსეულად იტვირთოს კოლექტიური თავდაცვის პასუხისმგებლობა. ეს არსებითია ჩვენი სტრატეგიული მიზნის — ნატოს სრულფასოვანი წევრობის მისაღწევად.

დღეს ნატომ მიიღო გადაწყვეტილება, ავღანეთის მისიის ეტაპობრივად, მომდინარე წლის სექტემბრამდე დასრულების შესახებ. შესაბამისად, ნატოსთან შეთანხმებული გრაფიკით, ავღანეთს დატოვებენ ქართული ქვედანაყოფებიც. ჩვენ ინტენსიური კონსულტაციები გვაქვს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან — აშშ-თან. ავღანეთიდან ქართული კონტიგენტის გამოსვლა მათთან კოორდინაციით მოხდება.

საქართველოსთვის, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ავღანეთი აღარასდროს გახდეს ტერორისტების თავშესაფარი და ვამაყობთ, რომ საკუთარი წვლილი შევიტანეთ ამ მიზნის მიღწევაში.

დიდ მადლობას ვუხდი თითოეულ ქართველ სამხედროს, ვინც სხვადასხვა პერიოდში ამ ურთულეს და საპასუხისმგებლო მისიაში მონაწილეობით ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში.

განსაკუთრებულ პატივს მივაგებთ ავღანეთის მისიაში დაღუპულ სამხედროებს, იმ ქართველ გმირებს, ვინც ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის. ქედს ვიხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე.

ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ!

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐᲡ მიერ პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ გაკეთებულ განცხადებაში და მისი გუნდის წევრების (ანუ, „ოცნების“ საპარლამენტო სიაში „გახარიას კვოტით“ შესული დეპუტატების მიერ) უმრავლესობის დატოვება ახალი, სენსაციური და უფრო მეტიც — სკანდალური არაფერი ყოფილა. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ გიორგი გახარია ახალ პოლიტიკურ ძალას ქმნიდა და ისიც ვიცოდით, რომ ეს ძალა ფაქტობრივად იმ ადამიანებზე იქნებოდა აგებული, რომელთა ხედვა ქართული ოცნების ხედვის თანმხვედრი იყო.

სწორედ ამიტომ ბუნებრივი, სრულიად გასაგები და გადაჭარბებულია ის ემოციები, რაც გიორგი გახარიას მიერ ქართულ პოლიტიკურ ველზე შემოსვლას მოჰყვა.

ბუნებრივი და გასაგებია იმ მხრივ, რომ დღევანდელი პოლიტიკური კრიზისის ფონზე გუნდიდან ძლიერი მოთამაშის გასვლა ნამდვილად არასასიამოვნოა, მაგრამ გადაჭარბებულია იმიტომ, რომ ოცნება არ არის მყიფე ორგანიზმი, რომელიც ვერ შეძლებს გაუმკლავდეს არსებულ გამოწვევებს.

პრინციპში, მომხრეთა შორის „კინკლაობა“, „კუტუების დატოლება“ და ლოზუნგების სროლა, მოსახლეობისთვის ნამდვილად არ არის საინტერესო და ეს მსგავსი მოვლენების მუდმივად თანამდევი ფონია.

მიუხედავად იმისა, რომ „ოცნების“ ლიდერშიპის მოზომილად გაღიზიანებული განცხადებები და დეპუტატ დიტო სამხარაძის მიერ ზოგიერთი მიუღებელი წამოძახილები აშკარად გვაჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ დღევანდელ ხელმძღვანელობას საკმაოდ ეშინია იმ იდილიური მდგომარეობის დარღვევის, რაც მათ ნაცებთან და, მათ ანასხლეტებთან კინკლაობაში შეიქმნეს, დღეს ამ თემას არ შევეხები. არ შევეხები, რადგანაც რეალური დასკვნების გაკეთებისთვის წინ კიდევ საკმაო დროა.

საინტერესოა ის, თუ რას ელოდება საზოგადოება ამ ნაბიჯით და რა ცვლილებები მოხდება პოლიტიკურ ველზე.

დავიწყებ იმით, რომ „ქართული ოცნება“ ჩამოყალიბდა ევროპული ტიპის პოლიტიკურ ძალად, რომელსაც „ჯოს!“, „ძირს!“ და სხვა მსგავსი ლოზუნგების მსროლელი ხალხის ნაცვლად ჰყავს ძლიერი კონსტიტუციონალისტები, იურისტები და კარგი მენეჯერები.

ჩამოყალიბდა ძალად, რომელმაც შეძლო დაეწყო ცივილურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა.

ცხადია, მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ყველაფერს ზუსტად ისე აღიქვამს, როგორც უნდა აღიქვას, მაგრამ, ბუნებრივია, გაჩნდა გარკვეული უკმაყოფილება, რაც ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ „ოცნება“ არ მიმართავდა ხისტ მეთოდებს აშკარად დესტრუქციული ე.წ. ოპოზიციისა თუ მედიის წინააღმდეგ.

თავი დავანებოთ გიორგი გახარიას პიროვნულ ფაქტორს, რომელსაც ამ პროცესში შეიძლება ითქვას, მხოლოდ ემოციური მნიშვნელობა აქვს, ხოლო რაც შეეხება ქვეყნის განვითარების გზას, ის ორივე გუნდს აბსოლუტურად ერთნაირი აქვს.

სწორედ აქედან გამომდინარე, ამ ვითარებით მხოლოდ საქართველოს მოსახლეობა და ქვეყნის მომავალი მოიგებს.

მოიგებს, რადგანაც ძალთა ნებისმიერი გადანაწილების შემთხვევაში ველზე ფანჩატურის ადგილი არ რჩება.

არ რჩება იმ ოდიოზური პოლიტიკანების ადგილი, რომლებმაც კოჟრები („მაზოლები“) ამოგვიყვანეს.

არ რჩება „ყარაულის გავარდნილი თოფის“ შედეგად გაჩენილი პოლიტიკური ფიგურების ადგილი (ეს კი სწორედაც ოცნების ნელი მოქმედების შედეგის „დამსახურება“ იყო).

მოკლედ რომ ვთქვა, სივრციდან გაქრებიან ნათელაშვილები, ბესელიები, კუკავები, გუბაზები, სამნიძეები, „გირჩები“ და მსგავსი ტიპები, რადგანაც არჩევნების დროს საზოგადოებას ექნება საშუალება აქტიურად დაუჭიროს მხარი ნამდვილ პოლიტიკას და მაქსიმალურად შემცირდება ის ცარიელი სივრცე, რომელშიც ზემოთ ჩამოთვლილი ხალხი ელექტორატის პასიურობის გამო იკავებდა ადგილს. რაც შეეხება იმ ხალხს, რომლებიც სააკაშვილს (არა „ნაცმოძრაობას“, არამედ სწორედაც სააკაშვილს) უჭერენ მხარს, მსგავსი ადამიანები ყოველთვის იქნებიან, მაგრამ საბედნიეროდ მათი რიცხვი დღეს არსებულ მცირე რაოდენობას ვერასდროს გასცდება.

ასე რომ, გიორგი გახარიას პოლიტიკური ძალა, იმ ხალხის მენტალობიდან გამომდინარე, რომლებიც მას დააკომპლექტებენ, იქნება დასავლურ ღირებულებებზე დამყარებული კონსტრუქციული გაერთიანება და... იმედს ვიტოვებ, რომ მასში არ იქნებიან „გადაცმული“ ნაცები.

ხოლო ის, რომ ბევრი მედროვე მოინდომებს წაპოტინებას, ეს ბუნებრივი პროცესია და ამას ვერავინ გაექცევა.

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ

◎ ᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ — ᲓᲐᲘᲡᲐᲛᲓᲔ?

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲔᲥᲕᲡᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲮᲛᲐ „Ჭ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲓᲐᲜ

დედა ენის დღე ქართულ საპარლამენტო ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ფაქტით აღინიშნა, რომელსაც მთლად სენსაციურსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან უკვე ორი თვეა, რაც მას პოლიტიკური წრეების ნაწილი წინასწარმეტყველებდა.

ლაპარაკია ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ექვსი წევრის მიერ „ქართული ოცნების“ დატოვებისა და ექს-პრემიერ გიორგი გახარიას ბანაკში მათი გადაბარგების შესახებ, მთავრობის ყოფილ მეთაურს კი, მოგეხსენებათ, გაცხადებული აქვს, რომ ახალი პარტიის შექმნასა და მოქმედი მმართველი ძალის ღირსეულ ოპონირებას, ანუ უკვე ხავსმოკიდებული, უკრაინაში გადახვეწილი შიზოფრენიკის კალთას შეფარებული ოპოზიციის ჩანაცვლებას აპირებს.

აღნიშნული შესანიშნავი ექვსეული, რომელშიც ყოფილი გუბერნატორები, მაჟორიტარი დეპუტატები, ერთ-ერთი ომბუდსმენი და მინისტრთა კაბინეტის თავკაცის ასევე ყოფილი მრჩეველია გაწევრებული, ნამდვილად არ გვემეტება საიმისოდ, რომ საპარლამენტო მოღვაწეობის აისი მათთვის დაისად იქცეს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვერსად წავუვალთ ჭკუის სასწავლებელ მაგალითებს უახლოესი წარსულიდან, როცა უმრავლესობიდან ხმაურით, პიარ-კამპანიით წასული, ზედმეტად ამბიციურებად გარდასახული დეპუტატები ან რადარებიდან საერთოდ გაქრნენ, ანაც მხოლოდ ინერციითღა ტივტივებენ ზედაპირზე, ერთი უსულო საგნისა არ იყოს.

ალბათ, ბედის ირონიაა, რომ ბოლო დღეებში რიონის ხეობაში განსაკუთრებით გააქტიურებული საპროტესტო პროცესები დროში ბატონი გიორგის მეორედ შესაძლო მოსვლას დაემთხვა. დიახ, როგორც ცნობილია, სწორედ გახარიას ხელმოწერითაა დამოწმებული „ნამახვანჰესის“ თურქულ კომპანია „ენკას“ მიერ აშენებაზე ნებართვის გაცემა, დაშვებული დანაშაულებრივი შეცდომის რაიმე ფორმით გამოსასწორებლად კი, რაც ავტომატურად ქართული მიწის 99-წლიანი საიჯარო ვადით ინვესტორი სახელმწიფოსთვის გადაცემას ითვალისწინებს, ჯერაც დაუფუძნებელი პარტიის პოტენციურ ლიდერს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევა.

გვერდს ვერ ავუვლით იმ კომიკურ კომენტარებსაც, რაც ნაცშპანისა და მისი სატელიტების, აგრეთვე მიშავიზიების მხრიდან გაისმა — ბიძინა ივანიშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ბრძოლაში „ბ“ გუნდი ჩართოო. ვეკითხებით პოლიტიკური სანაგვის დასახელებულ ბინადრებს — ვეღარ უნდა მიხვდნენ, რომ თვითონ „ჭ“ კლასამდე უკვე კარგახანია დაქვეითდნენ?

ᲒᲘᲐ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲞᲔᲢᲔᲠ ᲜᲘᲣᲛᲐᲜᲘ: ᲩᲕᲔᲜ ᲔᲡ ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲗ, ᲛᲔᲬᲧᲔᲠᲘ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

„ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ქუჩაზე ბოლო დღეების განმავლობაში განხორციელებული სამუშაოები და გატარებული ღონისძიებები გერმანელი სპეციალისტების მიერ დადებითად შეფასდა“, — ამის შესახებ თბილისის მერის მოადგილემ ირაკლი ბენდელიანმა მეწყერსაშიშ ზონაში გერმანელ სპეციალისტებთან ერთად საპრევენციო ღონისძიებების გაცნობის შემდეგ განაცხადა. ინფორმაციას დედაქალაქის მერიის პრესსამსახური ავრცელებს.

„სამუშაოები, რაც ბოლო კვირებში განხორციელდა, ისაა, რომ დიდი მოცულობის მიწის მასა მოიხსნა, რაც გულისხმობს უშუალოდ მეწყრის ტანის შემცირებას. მიზანი იყო, მეწყრული არეალიდან დატვირთვა მოგვეხსნა და მეწყერული მასის გადაადგილება შეგვემცირებინა. ასევე, მოჭრილი მიწის მასით ე.წ. წინაღობა შეიქმნა, გაკეთდა ჭაბურღილები და განხორციელდა ცემენტაცია. ამის მიზანი იყო, რომ ხახუნის ძალა კიდევ უფრო გაგვეძლიერებინა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ის იყო, რომ დამონტაჟდა მონიტორინგის სისტემა და ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, მუდმივ რეჟიმში ვაკონტროლოთ არსებული ვითარება. ის, რომ რისკები დღეს უფრო მეტადაა შემცირებული, ვიდრე სამი კვირის წინ იყო, მონიტორინგის და დაკვირვების შედეგია“, — განაცხადა ირაკლი ბენდელიანმა. შპს სამშენებლო გეოლოგიის ბიუროს წარმომადგენლის პეტერ ნიუმანის განცხადებით, აუცილებელია ყველამ გაითავისოს, რომ პირველ რიგში ჩატარდა გადაუდებელი სამუშაოები.

„ჩვენ პირველ რიგში რაც გავაკეთეთ, მივიღეთ გადაუდებელი ზომები. უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავსი მოვლენა არის დინამიური და ცოცხალი ორგანიზმის მქონე. აუცილებელია სწრაფი ზომების მიღება. არ არის გათვლებისა და გეგმების დასახვისთვის საკმარისი დრო. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, განგვეხორციელებინა სხვადასხვა ღონისძიებების კომბინაცია. მათ შორის მასების ნაწილის ამოღება-მოხსნა, ჩატარდა გარკვეული გამაგრების და გაბურღვის სამუშაოები. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნაპრალების ამოვსება. მინდა აღვნიშნო, რომ ამ უკანასკნელის თაობაზე გამართული დისკუსია იყო უადგილო. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ნაპრალების ამოვსება, რომ იქ არ დაგროვდეს წყალი და არ გაგრძელდეს პროცესი. ჩვენ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა შედეგი ნამდვილად გამოიღო“, — განაცხადა პეტერ ნიუმანმა.

როგორ იყო ხუდონჰესის შემთხვევაში

„როდის ჩამოყალიბდა

(პირველი გვერდიდან) ნოდარ წულეისკირის ამ რეპორტაჟმა სხვა სტატიებსა და ჩანახატებთან ერთად წიგნის ფორმით (კრებული „მთისა და ბარისა“) დღის სინათლე იხილა 1987 წელს, როცა ძალას იკრებდა საქართველოს ეროვნული მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი თვითონ ნოდარ წულეისკირიც იყო. ამ დროისთვის გიგანტური ჰესების მშენებლობას და კავკასიონის მთებში გვირაბების გაყვანას, ეკონომიკურის და დემოგრაფიულის გარდა, უკვე შეძენილი ჰქონდა დამატებითი განზომილება: საზოგადოების ნაწილი ხმამაღლა ლაპარაკობდა მშენებლობებთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პრობლემებსა და კოლონიზატორულ სიხარბეზე.

სწორედ ნოდარ წულეისკირი და კიდევ ოცამდე სხვა მწერალი აწერდა ხელს 1988 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ სტატიას სათაურით „საშიში რეციდივი“, რომელშიც საუბარი იყო ტრანსკავკასიური რკინიგზის მავნებლური პროექტის ტენდენციურ განხილვაზე საქართველოს მწერალთა კავშირსა და ტელევიზიაში: **„იმ მწერლებიდან, რომელთაც რკინიგზის პრობლემა შეესწავლათ, თავიანთი აზრი შეემუშავებინათ და სიტყვა მომზადებული ჰქონდათ, გამოსვლის უფლებას არ აძლევდნენ, რკინიგზის მომხრეთ კი ენერგიულად სთხოვდნენ აქტიურობას... ვიდრე საგანგებოდ შექმნილი მეცნიერული კომისიები საბოლოო აზრს შეიმუშავებდნენ, ჩვენი ტელევიზია აღტყინებული ზეიმობდა არაგვის ხეობაში რკინიგზის მშენებლობას და აზეიმებდა ყველას და ყველაფერს: ადამიანებსაც და ცხვრებსაც!“**

სამი ვეშაპი: ხუდონჰესი, რკინიგზა, გარეჯი

XX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ეროვნულ მოძრაობას მასობრივი ხასიათი დიდწილად ეკოლოგიური ცნობიერების შემოტანითა და გავრცელებითაც მიეცა. სამშობლოს დაცვა, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან ერთად, დიდწილად ასევე გულისხმობდა მის ბუნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვასაც.

დიდება ზაჰესს. კანტატა

საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ, რომელიც საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში შეიქმნა ჯერ რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიური ასოციაციის, შემდეგ კი დამოუკიდებელი ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეების“ სახით, პირველი საპროტესტო ღონისძიებები 1987 წელს გამართა. ტრანსკავკასიური რკინიგზის პროექტის განხილვა, ხუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი და დავით გარეჯის უდაბნოდან საბჭოთა არმიის სამხედრო პოლიგონის გადატანის მოთხოვნა — ეს ის საკითხებია, რომლებმაც გულგრილი ვერავინ დატოვა, თუმცა ამ სამიდან ყველაზე ძნელად დასაძლევი და, შესაბამისად, საბრძოლი აღმოჩნდა ხუდონჰესის საკითხი, რადგან სადგურის ნაწილი უკვე აშენებული იყო და მის დასრულებას ითხოვდა როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე საბჭოთა საქართველოს ხელისუფლება და ე. წ. ტექნიკური ინტელიგენციის დიდი ნაწილი, ტრანსკავკასიური რკინიგზა კი თავისი 38 შედარებით მცირე და ერთი 23- კილომეტრიანი ე. წ. „მეორე როკის“ გვირაბით (რკინიგზა უნდა გასულიყო ფშავ-ხევსურეთში, გაევლო ჩრდილო კავკასიაში და გადასულიყო რუსეთში) მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობაში არსებობდა. ამასთან, პროექტს ჰქონდა ბევრი ხინჯი, რომელიც განხილვისა და დისკუსიების პროცესში გამოვლინდა. 1989 წლის 9-10 დეკემბერს თბილისში გამართულ საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პირველ კონგრესზე ითქვა („ახალგაზრდა კომუნისტი“, 1990 წ. № 8), რომ პროექტის განხორციელება აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებდა ფშავ-ხევსურეთის ეკოსისტემას, რადგან რკინიგზა „ნაშალ ქანებში და მეწყერსაშიშ ზონაში“ უნდა გასულიყო.

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს ცოცხალ ფარად გადაეფარა ათასობით ადამიანი, მათ შორის სტუდენტი და მოსწავლე, რომლებმაც საპროტესტო აქციებით ხან პოლიგონთან, ხან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან შეუძლებელი გახადეს სამხედრო წვრთნების ჩატარება დავით გარეჯის უდაბნოში.

პროგრესის სახელით... მარილი სახლებში წყლად იქცევა

საბჭოთა კავშირში მისი არსებობის 70 წლის განმავლობაში გარემოს დაცვაზე არავის უზრუნია. მიუხედავად უზარმაზარი სამთავრობო აპარატისა, მხოლოდ 1988 წელს, დაშლამდე ორი წლით ადრე, შეიქმნა ბუნების დაცვის საკავშირო კომიტეტი, რომელიც დიდწილად მხოლოდ ფორმალურად არსებობდა. სამთავრობო დონეზე მსგავსი ვითარება იყო თბილისშიც, თუმცა საქართველოში მწვანე ცნობიერებას და მოძრაობას უკვე მყარად ჰქონდა ფეხი გადგმული. XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულის ქართული პრესა გაჯერებულია ეკოლოგიის საკითხებზე გამართული ღრმა და კვალიფიციური პუბლიცისტური პოლემიკით, თუმცა ყველაზე თვალსაჩინოდ ამ მწვანე სულისკვეთებით სავსე გარემოს გადმოგვცემს მწერალ ნაირა გელაშვილის ვრცელი წერილი „ტექნოკრატია, ეკოლოგია, პოეზია“, რომელიც სამ ნაწილად გამოქვეყნდა 1989 წელს „ახალგაზრდა კომუნისტის“ ფურცლებზე.

„მთელი მსოფლიო რა ხანია, შეძრა ეკოლოგიურმა მოძრაობამ, რომლის ამოსავალი დებულებაა: არ შეიძლება ბუნების დაპყრობა! ბუნებისადმი აგრესია აღსასრულის საწინდარია! ხოლო მდინარე ენგურს უკანასკნელ ხანებამდე „ამშვენებდა“ წარწერა: „Ингури, мы покорим тебя!“ („ენგურო, ჩვენ დაგიპყრობთ შენ!“). აი, ამაზე წამოიძახებ სწორედ გალაკტიონის სიტყვებს: “არსებობს ქვეყნად დაგვიანება, მაგრამ ამდენ ხნით? მაგრამ ასეთი?“, — გალაკტიონის სიტყვებით კითხულობს ავტორი და შემდეგ იმაზე ცხარობს, რომ მთავრობა არ ფიქრობს, უარი თქვას ამგვარ უგუნურ მიდგომაზე, „თითქოს ენგურჰესი და ჟინვალჰესი — ეს საქართველოს თავზე დაკიდებული ორი გიგანტური „დამოკლეს მახვილი“ — არ იყოს საკმარისი, თითქოს მათ მიერ გამოწვეული მსხვერპლი — ბუნების გადაგვარება, წყალში ჩაძირული ტყეები, სავარგულები, ისტორიული ადგილები და ძეგლები, ადამიანთა ფსიქიკაში წარმოქმნილი პანიკური დაძაბულობა და სხვა უარყოფითი ცვლილებები არა გვქონდეს უბედურებად ქცეული, ისევ წარბშეუხრელად გვატეხენ თავს ახალ-ახალ „გიგანტებს“: ტრანსკავკასიის რკინიგზას, ხუდონჰესს, ნამახვანჰესს, მინაძის წყალსაცავს, და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ გრანდიოზულ ტექნიკურ ნაგებობას! მათი ნება რომ ყოფილიყო და ყველა მათი საოცნებო პროექტი განხორციელებულიყო — საქართველოს უდიდესი ნაწილი წყლის ფსკერზე ან რკინა-ბეტონის ქვეშ ამოყოფდა თავს „პროგრესის“ სახელით!“

მწერალი ნოდარ წულეისკირი (ცენტრში)

1989 წლის 5 მარტს ეკოლოგიურმა ასოციაციამ საპროტესტო აქცია გამართა თბილისის იპოდრომზე, სადაც სიტყვით გამოვიდნენ ზურაბ ჟვანია, ნაირა გელაშვილი, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერები... შეკრებილებს მიმართა მესტიელმა ექიმმა, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლუბა ნიჟარაძემ. მან ენგურჰესის აშენების შემდეგ სვანეთში დაწყებულ დრამატულ ცვლილებებზე ილაპარაკა: „ჩვეულებრივ ამბად იქცა ღვარცოფები, მეწყერები და ზვავები. მოსახლეობას ზაფხულობით წვიმის ეშინია, ზამთარში — ზვავების. გამეჩხრებული ტყე ვერ აკავებს სტიქიას, ნადგურდება სავარგულები, ინგრევა კოშკები, ხავსი და ობი მოეკიდა სახლებს, სალოცავებს, ფრესკებს, იფშვნება და ხელიდან გვეცლება უნიკალური ხატ-ჯვარი, ხეხილი ხეზე ლპება, მოსავალს დაავადებები ანადგურებს, მარილი სახლებში წყლად იქცევა. დღეს ბევრი აღიარებს, რომ ენგურჰესის აგება დიდი შეცდომა იყო... ახალი წყალსაცავი მთლად უვარგისად გახდის ენგურის ხეობას ადამიანის საცხოვრებლად, მთა დაიცლება. თუ ადამიანებს ვაიძულებთ, დატოვონ თავიანთი ფუძე და სახლკარი, ეს იქნება ადამიანის უფლებათა ხელყოფა“.

ქართველმა მწვანეებმა სხვა არაერთი მასშტაბური საპროტესტო აქცია გამართეს, მიტინგებმა მოიცვა ხაიში და მთელი სვანეთი. ხაიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე პიმენ კვანჭიანი ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ ფურცლებზე წერდა:

„ინგრევა მთები, ნადგურდება ფლორა და ფაუნა, იქმნება გიგანტური ეროზიების დაუშრეტელი საბადო... ხუდონჰესის მშენებლობის გამო ჯერ მარტო ხაიშიდან უნდა გადასახლდეს 300-მდე ოჯახი... გამოდის, რომ ეს „ჰესი“ კი არა, აღა მაჰმად ხანის ურდო ყოფილა. სოფელი ხაიში მესტიის რაიონის ჭიშკარი იყო, რომელიც ერთი „რეტუშით“ აღგავა პროექტის ავტორმა პირისაგან მიწისა“.

1989 წ., 30 ივნისი: „შეწყდეს ხუდონჰესის მშენებლობა!“

ეკოლოგია იქცა ყველა მოქალაქისა და ყველა პარტიის ზრუნვის საგნად. 1989 წლის 5 სექტემბერს ყვარელში საბჭედ მანქანაზე აკრეფილი გაზეთი „დურუჯი“ №1 (ე. წ. „სამიზდატი“) წერდა:

„დედა ბუნება საფრთხეშია!!! საფრთხეშია და ამ საფრთხის შექმნაში ბრალი მიუძღვის არა საერთოდ ქართველ ადამიანს, არამედ მისი საქმიანობის დამორჩილებას ანგარების, გამდიდრების ან ვიწრო პრაქტიციზმის ინტერესებისადმი, არაშორსმჭვრეტელობას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადგილობრივი მარიონეტული მთავრობისა და ხელისუფლების უნიათობას, გულცივობას, უმოქმედობას. უკანასკნელ პერიოდში ადგილი აქვს ეკოლოგიური ბალანსის წინასწარ განზრახულ და აშკარად დივერსიულ დარღვევას. გარდა უშუალო ეკოლოგიური კატასტროფისა, ისეთი მძლავრი ენერგეტიკული ნაგებობები, როგორიცაა ენგურჰესი და ხუდონჰესი, განსაკუთრებით სახიფათოა საქართველოსთვის, რადგან ერი სრულ უნდობლობას უცხადებს აგრესორს. სავსებით მოსალოდნელია, ეს ნაგებობები მოსკოვმა დივერსიებისთვის გამოიყენოს, რასაც უდავოდ კატასტროფული შედეგი მოჰყვება“.

1989 წლის 20 მაისს რუსთაველის საზოგადოების ეკოლოგიურმა ასოციაციამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეიტანა საექსპერტო კომისიის მიერ შედგენილი დასკვნა და მოითხოვა:

„საქართველოს მთავრობამ საბოლოოდ გამოხატოს თავისი პოზიცია ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელება-ლიკვიდაციის შესახებ უახლოეს ხანებში, რაც იქნებოდა ერთადერთი პირობა რეგიონში შექმნილი უკიდურესად დაძაბული ვითარების განსამუხტავად. დღეისთვის შეგროვებული მონაცემები სავსებით ნათლად მოწმობს, რომ აღნიშნული მშენებლობა ენგურის ხეობაში სრულიად დაუშვებელია“.

თუმცა, როგორც ფილოსოფოსი თემურ ფიფია ჰყვება სტატიაში **„ვის აშინებს დამოუკიდებელი საქართველო?“** („ახალგაზრდა კომუნისტი“, №13), ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცესში ნაცვლად იმისა, რომ მშენებლობა შეჩერებულიყო, ხუდონჰესის აშენებით დაინტერესებულმა ძალებმა მშენებლობის ტემპი გააორკეცეს, რათა კომისია ფაქტის წინაშე დაეყენებინათ:

„სწორედ ამიტომ საჭირო გახდა წმინდა ილია მართლის საზოგადოების და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიერ შიმშილობის აქციის მოწყობა. მთავრობის თავმჯდომარე იძულებული გახდა, ჩასულიყო ხაიშში. ადგილზე ნანახმა მშენებლობის უაღრესად დაბალმა ეკოლოგიურმა კულტურამ მისთვისაც კი ცხადი გახადა ექსპერტიზის დასკვნის აუცილებლობა და დაუყოვნებლივ მიაღებინა მთავრობას გადაწყვეტილება ხუდონჰესის მშენებლობის ლიკვიდაციის შესახებ“.

ხუდონჰესის მშენებლობა 1989 წლის 30 ივნისს შეწყდა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს №11 დადგენილებაში, რომელსაც ხელს აწერს **ნოდარ ჭითანავა,** ვკითხულობთ:

„ხუდონჰესის მშენებლობის შესახებ რესპუბლიკაში ჩამოყალიბებული საზოგადოებ-

რივი აზრის, აგრეთვე მესტიის, წალენჯიხის, ზუგდიდის ქ. ჯვრის მოსახლეობის და რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნის გათვალიწინებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს: დაუყოვნებლივ შეწყდეს ხუდონჰესის მშენებლობა და შემუშავდეს სათანადო ღონისძიებანი მისი მშენებლობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების სრული ლიკვიდაციისთვის“.

ედუარდ შევარდნაძე ხუდონჰესის მშენებლობაზე

თემურ ფიფიას თქმით, ჰესის მრავალწლიანი მშენებლობით მიღებული უარყოფითი შედეგები თვალსაჩინო იყო, თუმცა, მისივე თქმით, მარტო ხუდონის წყალსაცავი როდი იყო ბოროტება:

„ზოგადად, არაფრით არ შეიძლება ასეთი დიდი მშენებლობის შეტანა ისეთ ერთგვარად იზოლირებულ, ტრადიციულ ეთნოსისტემაში, როგორიც სვანეთია. სოციალურ ფსიქოლოგიაში არსებობს უამრავი გამოკვლევა, რომელიც ადასტურებს, რომ ასეთ მიკროსისტემებში უეცრად შეჭრილი ახალი ურთიერთობანი შეუქცევად სულიერ დეგრადაციებს იწვევს. უნდა დავწყნარდეთ დამოუკიდებელ საქართველომდე. სანამ არ მოგვეცემა ობიექტური ეკოლოგიური ექსპერტიზის საშუალება, აღარ დავუბრუნდეთ ხუდონჰესის მშენებლობის პროექტს“.

ეს ჩლუნგი ფსიქიკა“?!

ხუდონჰესის ალტერნატივა

1990 **წლის** თებერვალში (№№18, 21) გამოქვეყნდა პუბლიკაციები, რომელთაგან ერთი მკითხველს აუწყებდა, რომ საქართველოს მთავრობის დავალებით საქართველოს ბუნების დაცვის ახალგაზრდულმა გაერთიანებამ დაასრულა კომპლექსური მეცნიერული კვლევა და დაასკვნა:


აბესალომ ტუღუში და მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე მიკროფონთან. 1989 წ.

„ხუდონჰესის მშენებლობამ უკვე დიდი ზიანი მიაყენა მიმდებარე ტერიტორიის ეკოსისტემას და, რაც მეტად სავალალოა, გამოიწვია სოფელ ხაიშის და მთელი მესტიის რაიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ფსიქოემოციური მდგომარეობის საგრძნობი დეგრადაცია... ხუდონჰესის მშენებლობის გაგრძელება დაუშვებლად მიგვაჩნია“.

მეორე პუბლიკაცია კი განგაშის შეფარულ სიგნალებს უგზავნიდა მკითხველს:

„საქართველოს მოხმარებული სათბობისა და საწვავის (გაზი-ნავთობი — მთელი რაოდენობა, ქვანახშირი და დენის მნიშვნელოვანი ნაწილი) 85 % გარედან შემოაქვს. 1988 წელს საქართველოს რესპუბლიკაში დენის დეფიციტმა, ანუ სხვაობამ წარმოებულ და მოხმარებულ ელექტროენერგიას შორის შეადგინა 3,6 მლრდ კვტ/სთ. IV კვარტალში დეფიციტი იყო 31 %. ვითარება გაამძაფრა სომხეთის ატომური ელექტროსადგურის გაჩერებამ. საჭიროა გაზზე მომუშავე თბოელექტროცენტრების აშენება ქუთაისსა და თბილისში, ასევე მცირე ჰესებისა“.

მწვანეთა მოძრაობამ შესთავაზა ხელისუფლებას ხუდონჰესის ფული განაწილებულიყო მცირე ჰესების მშენებლობაზე, თუმცა საკავშირო საგეგმო კომიტეტმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა, რადგან მოსკოვს სურდა, აშენებულიყო საკავშირო მნიშვნელობის მძლავრი ელექტროსადგური.

ხუდონჰესის პროექტის გადაკეთების ინიციატივით გამოვიდნენ ტექნოკრატებიც. 1989 წლის 22 ნოემბერს „ქართულ ფილმში“ გამოქვეყნდა პროფესორ მ. ღოღობერიძის სტატია **„ფაცაფუცით ჰიდროენერგეტიკული და მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები არ მოგვარდება“,** რომელშიც გამოითქვა მოსაზრება, ხუდონჰესის დამტკიცებული პროექტის ნაცვლად განხორციელებულიყო სადერივაციო ელექტროსადგურის პროექტი, რაც, ავტორის თქმით, მთლიანად გამორიცხავდა იმ ნეგატიურ შედეგებს, რომლებიც თან სდევს წყალსაცავების მოწყობას: „წყალსაცავის დატბორვის ზონიდან აღარ იქნება გასასახლებელი 244 ოჯახი (1000 კაცი) და რესპუბლიკა აღარ დაკარგავს 1000 ჰექტარამდე სასარგებლო მიწას, აღარ გაიჩეხება ტყე, არ გაუქმდება საძოვრები, სათიბ-სახნავი და სხვ.“

თუმცა ამ დროისთვის ხუდონჰესის მშენებლობა უკვე გაჩერებული იყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დადგენილებით და, შესაბამისად, არც ახალი წინადადება განხილულა საფუძვლიანად „ტექნიკურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ“ ჭრილში.

ხუდონიადა დაუსრულებლად — შეშინებული ძაღლი და მთვარე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც მოსკოვმა ეკონომიკური კავშირების გაწყვეტითა და ენერგეტიკული ბლოკადით უპასუხა. შესაბამისად, დისკუსიამ, უნდა აშენდეს თუ არა ხუდონჰესი, 1992-1993 წლებში ახალი ძალით იფეთქა. უშუქობამ და ელექტროენერგიის დეფიციტმა, ერთი შეხედვით, დამაჯერებელი გახადა ტექნოკრატების არგუმენტები. ბრალდებასავით გაისმა „საქართველოს რესპუბლიკის“ 12 ივლისს (1993 წ., №158) პროფესორ მიხეილ ღოღობერიძის სტატია **„რა ღირს საქართველო?“,** სადაც ვკითხულობთ:

„გარემოს დაცვის საქმეში დილეტანტიზმს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებლობას და, რაც მთავარია, ეკოლოგიურ-ეკონომიკურად და სოციალურად დაუსაბუთებელ, ნაუცბათევ, მხოლოდ შიშველ ემოციებზე დაყრდნობილი გადაწყვეტილებების მიღებას შეიძლება აბსურდული და ქვეყნისთვის საზიანო შედეგიც კი მოჰყვეს...“

სტატიის ავტორი (საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს მრჩეველი ეკოლოგიის დარგში) ლაპარაკობს აუნაზღაურებელ ზარალზე, რომელიც საქართველოს ეკონომიკასა და საზოგადოებას მიადგა ხუდონჰესის მშენებლობის გაჩერებით:

„გავიხსენოთ ხუდონჰესის მშენებლობის ჯერ კონსერვაციისა და შემდეგ გაუქმების ის ყბადაღებული ფაქტი, რომელსაც საქართველოს მწვანეები დღესაც სიამაყით აღნიშნავენ და თავიანთ გამარჯვებებს მიაწერენ. არადა, ეს გადაწყვეტილება „მწვანეებმა“ ეროვნულ მოძრაობასთან ერთად საქართველოს მაშინდელ მთავრობას ხომ ყოველგვარი კომპლექსური (მათ შორის ეკოლოგიური) ექსპერტიზის გარეშე, მხოლოდ მუქარითა და შანტაჟით მიაღებინეს. ...ხუდონჰესი ქვეყანას ყოველწლიურად 227 მლნ აშშ დოლარს დაუზოგავდა (თბოსადგურების საწვავის შემცირების ხარჯზე). ამასთან, კომპლექსური ექსპერტიზის (ტექნიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და საზოგადოებრი აზრის გათვალისწინებით) მშენებლობა შეიძლებოდა დამთავრებულიყო ჰესის შემცირებული პარამეტრებით ან სულ სხვა ე. წ. „დერივაციული სქემით“, წყალსაცავის გარეშე“.

სტატიაში საუბარია ასევე ქართველი ენერგეტიკოსებისათვის მიყენებულ ფსიქოლოგიურ ზიანზე, რაც, ავტორის თქმით, აფერხებს ჰიდროენერგეტიკის დარგის განვითარებას:

„საქართველოს ენერგეტიკოსები „შეშინებული ძაღლისა და მთვარის“ არ იყოს, ხუდონჰესის შემდეგ ჰიდროენერგეტიკული ობიექტებისაკენ აღარ იყურებიან (მაგიდის „ქვედა უჯრებში“ გადადეს ნამახვანის კასკადისა თუ სხვა ობიექტების პროექტები) და მთელი აქცენტი თბილსრესის რეკონსტრუქცია-გაფართოებაზე თუ ახლის მშენებლობაზე გადაიტანეს, ობიექტებზე, რომლის საწვავი ქვეყანას საერთოდ არ გააჩნია და სხვა რესპულიკებიდან უნდა ვზიდოთ. ამას თან სდევს მრავალი ეკოლოგიური პრობლემა (საწვავის ტრანსპორტირება, ატმოსფეროს დაბინძურება). ასე რომ, ძვირი დაჯდა გამარჯვება ხუდონჰესზე. 1990 წელს თბოელექტროსადგურებმა და ბლოკებმა გამოიმუშავეს 6,6 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგია, რაზეც დაიხარჯა 6 მლნ ტონა პირობითი საწვავი (მაზუთი და გაზი), ანუ ახლო მომავალში წელიწადში დაგვჭირდება 1 მლრდ დოლარის საწვავის შეძენა და „დაწვა“. რაც მთავარია, თანხა უნდა გავიდეს ქვეყნის გარეთ, მაშინ როცა ჩვენს მდინარეებს გამოუყენებელი ჰიდროენერგია „ვალუტის“ სახით განუწყვეტლივ ჩააქვს შავ და კასპიის ზღვებში“.

სტატიის ფინალში ავტორი ამბობს, რომ ჰიდროპოტენციალის ხვედრითი წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, მაგრამ ამ პოტენციალის მხოლოდ 8-20 % აქვს ათვისებული.

30 წლის შემდეგაც: აშენდეს თუ არა?

საქართველოს მთავრობა ხუდონჰესის მშენებლობის საკითხს 2005 წლიდან დაუბრუნდა. კომპანია Trans Electrica Limited-ს სადგურის მშენებლობა 2018 წლისთვის უნდა დაესრულებინა. რატომღაც ჩაითვალა, რომ 80-იან წლების პროტესტი მხოლოდ კომუნიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა იყო და არა ეკოლოგიური აქტივობა. ასეთი მიდგომით, ენგურჰესის პარალელურად გაცოცხლდა ნამახვანჰესის შეჩერებული პროექტიც, რომელიც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ირიცხებოდა „ჰიდროპროექტის“ საკავშირო ინსტიტუტის რჩეულ 908 პროექტთა შორის. არადა, ენგურჰესისა და ნამახვანჰესის მშენებლობის განახლებას ძველებური შემართებით შეეწინააღმდეგნენ როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე გარემოს დამცველი ორგანიზაციები, რომლებიც, იურიდიულ ხარვეზებთან ერთად, მიუთითებენ ასევე ეკოლოგიური აზროვნების დეფიციტზე და დაბეჯითებით იმეორებენ 30 წლის წინ მწერლის მიერ დასმულ შეკითხვას:

საპროტესტო აქცია, თსუ, 1989

„ვინ არიან ეს ადამიანები, როდის ჩამოყალიბდა ეს ჩლუნგი ფსიქიკა, როდის აღმოცენდა ამდენი „ჰომო ფაბერი“, დედაქალაქის კაბინეტებში რომ მოკალათებულან და „ერთი რეტუშით“ რომ უსჯიან სიკვდილს ძველთაძველ ისტორიულ სოფლებს, წყალში ძირავენ ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, სამარხ-სალოცავებს, ათასობით ჰექტარ მიწას, მიწას, რომლის ყოველი გოჯი ჩვენი წინაპრების ტანჯვა-წამებით არის შენარჩუნებული! ერთნი წყალში ძირავენ, მეორენი რკინა-ბეტონის ქვეშ მარხავენ, მესამენი — პირდაპირ ფულზე ყიდიან!“

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
„რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტი.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მკითხველმა თვითონ განსაჯოს, აშენდეს თუ არა დიდი ჰესები საქართველოში!..

ერთხელ ანთებული ვარსკვლავი აღარ ქრება...

დიდი მსახიობის გარდაცვალებიდან 50 წელიწადი გასულა...

ზაქარიაძის სვანური ქუდის „ესტაფეტა“

ზაქარიაძე ბოლო წლებში განუყრელად დადიოდა სვანური ქუდით, რომელიც მას მისმა მეგობარმა, რუსთაველის თეატრის მსახიობმა **მერაბ გეგეჭკორმა** აჩუქა. მისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში თეატრის რეფორმაციის მისეული თამამი ხედვები დასის ერთმა ნაწილმა ვერ გაითავისა (უფრო სწორად, შეეშინდა თეატრში საკუთარი ადგილის დაკარგვის თუ დაკნინების...) და ამის გამო თეატრის დირექტორს და სამხატვრო ხელმძღვანელს დაუპირისპირდა, რამაც სერგოზე ძალიან იმოქმედა და საავადმყოფოშიც მოხვდა (თვით ეს დაპირისპირება დამოუკიდებელი და პირუთვნელი ვრცელი საუბრის თემაა...). ამ დროს „ფრონდირებულთა“ ველზე მყოფმა ერთ-ერთმა პირმა ზაქარიაძეს ავადმყოფობა ხრიკად ჩაუთვალა და პირადად კი არ დაურეკა და მოიკითხა, როგორც ამას სულ ცოტა, ელემენტარული კოლეგიალობა მოითხოვდა, არამედ... პირდაპირ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაასმინა: სიმულიანტობს, იმოქმედეთ რამე, აიძულეთ მოვიდეს თეატრში და მიხედოს საქმესო...

ეს იყო 1971 წლის 11 აპრილს - სერგოს გარდაცვალებამდე სულ ორი დღით ადრე...

ბუნებრივია, ზაქარიაძის ოჯახს ამაზე ადექვატური

სერგო ზაქარიაძე საავადმყოფოში

რეაქცია ჰქონდა და ამიტომაც იყო, რომ გამოსათხოვარი სიტყვის წარმომთქმელთა შორის ცეკაში „საკონტროლო ზარის“ განმხორციელებული არ იყო. - თეატრიდან ამის პატივი დიდი მსახიობის ახალგაზრდა კოლეგას და მეგობარს, „მეფე ლირში“ მასხარას როლის შემსრულებელ **გურამ საღარაძეს** ერგო.

სერგოს განუყრელი სვანური ქუდი კი ოჯახმა მაშინ რუსთავის თეატრის წამყვან მსახიობს **ოთარ მელვინეთუხუცესს** უსახსოვრა...

მთაწმინდა...

ზაქარიაძე არასდროს ყოფილა ხელისუფლების ნავში მჯდომი მსახიობი. მისი მოპოვებული ყოველი ტიტული, თანამდებობა ოფიციოზის მიერ მხოლოდ მისი რეალური დამსახურებისა და საყოველთაო აღიარების პოსტ-ფაქტუმ დადასტურება იყო.

მისი ბუნება, მასშტაბური აზროვნება და ნიჭი ვერ ეტეოდა მაშინდელ ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ არტახებში და ცდილობდა მათ გარღვევას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მისი ასეთი პირდაპირობა, შეუპოვრობა, ნონკონფორმიზმი იყო ზაქარიაძის მარჯანიშვილელთა დასის ერთ ნაწილთან ცნობილი დაპირისპირების და თეატრიდან მისი ხანგრძლივი ვადით ორგზის ჩამოცილების ძირითადი მიზეზი. უფრო მეტიც, ეს აქცია თეატრში მის მოწინააღმდეგეთა და ხელისუფლების ერთობლივად განხორციელებულ „სადამსჯელო ოპერაციას“ წარმოადგენდა. მაგრამ სერგოს ტალანტი, ნიჭი და ელვარება იმდენად დიდი და თვალშისაცემი იყო, რომ ხელისუფლებას უკვე აღარ შეეძლო ამ მასშტაბის ხელოვნის უგელვებელყოფა (აკი კიდევაც ეკითხებოდნენ გარკვეული საყვედურით უცხოელი კინომცოდნენი „ჯარისკაცის მამის“ ნახვის შემდეგ საბჭოთა ხელოვნების ბონზებს: „კი მაგრამ, სად გყავდათ ასეთი მასშტაბის მსახიობი აქამდე გადამალულიო?!). და როგორც შუბი ხალთაში ვერ დაიმალება, ისე სერგოს ტალანტის სიდიადისა და ელვარების უგულვებელყოფა უკვე თავად ხელისუფლებისთვის ხდებოდა კონტრპროდუქტიული. ამიტომაც ტაქტიკა შეიცვალა და შეეცადა სერგოს შემოქმედება და სახელი საკუთარი სახის გაკეთილშობილებისათვის გამოეყენებინა. ამგვარი უტილიტარული მიდგომის ბუნება კარგად გამოჩნდა, როდესაც სერგოს გარდაცვალების შემდეგ საქმე მისი საუკუნო განსასვენებლის ადგილის შერჩევაზე მიდგა.

მიუხედავად იმისა, რომ დამკრძალავი კომისიის წევრები სერგოს ნიჭისა და ტალანტის დამფასებელი საზოგადოებრიობის ცნობილი და ავტორიტეტული პირები (მათ შორის მიხეილ ჭიაურელი, ანდრია ბალანჩივაძე, ოთარ თაქთაქიშვილი, ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე...) იყვნენ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, დიდი მსახიობის დაკრძალვის ადგილად დიდუბის პანთეონი დასახელდა. ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა, იმის გარდა, რომ იგი არასდროს იყო ხელისუფლების „იარაღის მჭიდში ჩადებული ვაზნა“, მოახდინა იმ გარემოებამაც, რომ ზაქარიაძის ტალანტის, აღიარებისა და პოპულარობის მიუღებლობით მისი მარჯანიშვილის თეატრიდან ორგზის ჩამოშორების „შემოქმედნი“ (არა მხოლოდ სამსახიობო წრეებიდან), ჯერაც საკმაოდ გავლენიან ძალას წარმოადგენდნენ; ამას ემატებოდა თავად რუსთაველის თეატრიდან შემოსული ზარიც, რომელიც ცეკას სთხოვდა ზაქარიაძეზე ზემოქმედებას და რომელმაც მაშინდელი გადასახედიდან, დიდი მსახიობის „სამთაწმინდო გზაზე“ დაგებული ბიუროკრატიული ხერგილი გააძლიერა. ხატოვნად რომ ვთქვათ და წლების შემდეგ რობერტ სტურუასეულ „კავკასიური ცარცის წრის“ ბიბლიურ სიუჟეტზე აგებულ სცენას დავესესხოთ, სერგო ზაქარიაძის „მონაწილეობით“ კიდევ ერთი დრამა თამაშდებოდა: ერთი მხრივ, აწ უკვე მთაწმინდის მარადიული მკვიდრნი სიმონ ჩიქოვანი და გიორგი ლეონიძე თავიანთ მეგობარს, „ტოლსა და სწორს“ „თავისთან იწვევდნენ“, ზაქარიაძის ნიჭისა და იგავმიუწვდომელი პოპულარობის ცოცხალი მოშურნენი, ხელისუფლების ლატენტური მხარდაჭერით კი ცდილობდნენ დიდი მსახიობის ნეშტის სამუდამო ნავსაყუდელი დიდუბის პანთეონი გამხდარიყო. ის დაპირისპირება და ინტრიგები, რომლებიც დიდი მსახიობის საბოლოო განსასვენებელი ადგილის შერჩევას ეხებოდა, შინაარსობრივი დატვირთვით ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა სიცოცხლეში მის მიერ საოცარი შთაგონებით შესრულებულ შექსპირისეულ თუ ანტიკური ტრაგედიების პერსონაჟთა ირგვლივ მოქსოვილ სიუჟეტურ ქარგას.

საბედნიეროდ (თუკი შეიძლება ამ სიტყვის მოცემულ კონტექსტში გამოყენება), რესპუბლიკის მაშინდელ თავკაც მჟავანაძეს ოპერატიულად დაუსაბუთეს, რომ იტყვიან, „განუმარტეს“, რომ ისეთი დიდი და ხალხის უსაზღვრო სიყვარულით მოსილი მსახიობის დაკრძალვის შესაფერისი, დამსახურებული და ღირსეული ადგილი **მთაწმინდა** იყო, ხოლო იმის გათვალისწინებით კი, რომ იგი იმავდროულად არა მხოლოდ

სერგო ზაქარიაძის საფლავი მთაწმინდაზე

მსახიობი, არამედ უმაღლესი იერარქიის **სახელმწიფო მოღვაწეც** იყო — **სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი** (თანაც, ამჟამინდელი ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, არა „პროპორციული“, „პარტიული“ სიით გასული, არამედ „მაჟორიტარი“ დეპუტატი აჭარიდან), მთაწმინდის ალტერნატივად მხოლოდ... საბჭოთა კავშირის პირველი ნეკროპოლის ფორმალური თუ არაფორმალური სტატუსის მქონე მოსკოვის **ნოვოდევიჩის** პანთეონი შეიძლება ყოფილიყო.

მჟავანაძე, მართალია, საბჭოთა სახელმწიფოს ცენტრიდან დანიშნული პირველი პირი იყო საქართველოში, მაგრამ იგი მაინც სულით ქართველი იყო. — იგი ერთი მხრივ, ჰიპოთეტურადაც კი ვერ დაუშვებდა ზაქარიაძის ნეშტის „ნოვოდევიჩისეულ“ პერსპექტივას, მეორე მხრივ კი აცნობიერებდა დიდი მსახიობის როლს და მნიშვნელობას და მიუხედავად იმისა, რომ რეპუტაციული თვალსაზრისით დიდუბის პანთეონი დიდი მსახიობის სახელსა და დიდებას არაფერს დააკლებდა (მთაწმინდისაკენ მიმავალ გზაზე თავის დროზე დიდუბეში ჰპოვეს დროებითი განსასვენებელი ვაჟა-ფშაველამ და ნიკოლოზ ბარათაშვილმა), მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და ზაქარიაძის მთაწმინდაზე დაკრძალვის განკარგულება გასცა. ამით მან მხოლოდ აღასრულა სამართლიანობა და ის გაურკვეველი ვადით არ გადადო, შთამომავლობას არ გადააკისრა (როგორც ეს მოხდა სერგოს უფროს მეგობარ უშანგი ჩხეიძესთან მიმართებაში)...

ვარსკვლავი ისევ ანათებს...

ხელისუფლებამ დამკრძალავი კომისიის (და არა მარტო) დაშვებული აშკარა კონფუზის გადაფარვა იმით სცადა, რომ უკვე გარდაცვლილ მსახიობს რუსთაველის სახელობის პრემია მიანიჭა ბოლო ორი წლის მანძილზე შექმნილი სცენური სახეებისათვის. — ის პრემია, რომელსაც, რომ დასცლოდა, სიცოცხლეში ზაქარიაძე, მაღალი ალბათობით, მაინც მიიღებდა, როგორც წევრი იმ ჯგუფისა, რომელიც რუსთაველის თეატრში სპექტაკლ „სამანიშვილის დედინაცვალის“ დადგმისათვის (რეჟისორები თ. ჩხეიძე და რ. სტურუა, მსახიობები ს. ზაქარიაძე, გ. გეგეჭკორი, რ. ჩხიკვაძე), ასევე იყო წარდგენილი რუსთაველის პრემიაზე - ზაქარიაძის გარდაცვალებამდე ათიოდე დღით ადრე.

დიდი მსახიობის სიკვდილის შემდეგ ამ დაგვიანებული კიდევ ერთი აღიარებისა და დაფასების ოფიციალურ საფუძველს („ამ ბოლო ორ წელიწადში შექმნილი სცენური სახეებისათვის“) ძალიან სევდიანი შლეიფი გასდევდა: ბოლო ორ წელიწადში შექმნილი სცენური სახეებიდან კინოფირზე შთამომავლობისთვის მხოლოდ ერთი როლია შემორჩენილი (ბეკინა სამანიშვილი, „სამანიშვილის დედინაცვალი“). ზოგი გადაღებული ფირი სერგოს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე იქნა წაშლილი (კრეონი, „ანტიგონე“), ზოგის გადაღება კი ვერ მოასწრეს/მოახერხეს (აგაბო ბოგვერაძე, „სანამ ურემი გადაბრუნდება“...).

მისი გარდაცვალება იმდენად მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, რომ ბევრს არც კი სურდა ამ ამბის დაჯერება. ამიტომ ზაქარიაძის დაკრძალვის დღეს რუსთაველის გამზირი და მისი მიმდებარე ქუჩები ვეღარ იტევდა მგლოვიარე ადამიანების მასას. როდესაც სამხედროებმა რუსთაველის თეატრის სცენაზე, რომელზეც დიდი მსახიობი ესვენა, უზარმაზარი გვირგვინი წარწერით „ჯარისკაცის მამას — მისი შვილებისაგან“ შეიტანეს, დამწუხრებული ხალხით გადაჭედილ დარბაზს გლოვის ზარმა კიდევ ერთხელ გადაუარა...

იოსებ არჩვაძე,
2021 წლის მარტი-აპრილი
ტელ. 599 32 18 98

(დასასრული მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №77-78, 79-80

ᲣᲮᲔᲚᲝᲓ, ᲣᲡᲘᲡᲮᲚᲝᲓ, ᲣᲝᲛᲠᲐᲓ

როგორც ცნობილია, გამოჩენილი ქართველი კონორეუისორი მიხეილ ჭიაურელი ერთობ დაახლოებული და, შეიძლება თქმს, ერთგვარად გაშინაურებულიც კი ყოფილა სტალინთან. ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს. თქვენ წარმოიდგინეთ, არსებობს სარწმუნო ცნობა, თითქოსდა თვით ლავრენტი ბერია, რომელიც თავზარს სცემდა ყოველ საბჭოთა მოქალაქეს, დამნაშავე იქნებოდა თუ უდანაშაულო, ეპირფერებოდა ჭიაურელს, ბელადთან ჩემზე აუგი არ დასცდესო.

მიხეილ ჭიაურელს, ვგონებ, მემუარები არ დაუწერია (კარგი კი იქნებოდა, რომ დაეწერა), მაგრამ ყოველთვის ხალისითა და დაუზარებლად ჰყვებოდა სტალინთან თავისი შეხვედრების შესახებ.

მისი ერთი ნაამბობთაგანი ახალი და საკმაოდ ორიგინალური შტრიხით ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას სტალინის პოლიტიკური აზროვნების თაობაზე.

როდესაც კრემლში ნახეს და მოიწონეს ჭიაურელის ფილმი „ბერლინის დაცემა“, სტალინმა კინორეჟისორს ჰკითხა: მიშა, ახლა რაზე მუშაობო?

პასუხი არ დაყოვნებულა: ამხანაგო სტალინ! ფილმის გადაღებას ერეკლე მეფეზე ვაპირებო.

სტალინს ულვაშებში ჩაუცინია და უთქვამს: ერეკლე? ეგ რა მეფე იყო, თავის ქვეყანას ერთი ომიც ვერ ააცდინაო.

არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ სტალინს უყვარდა და კარგადაც ესმოდა ისტორია.

მაგრამ ჭიაურელის ნაამბობთან დაკავშირებით ჩნდება ამგვარი კითხვა, საქართველოს ისტორიიდან ახსოვდა თუ არა სტალინს ის მეფე, რომელმაც, ერთი ომი რა მოსატანია, ლამის ყველა ომი ააცდინა თავის ქვეყანას. ახსოვდა თუ არა ის მეფე, რომელმაც უხმლოდ, უსისხლოდ, უომრად, პოლიტიკოსის ნიჭითა და გარჯით, კომპრომისებისა და დიპლომატიური სვლების მეოხებით, არაერთხელ გადაარჩინა სამშობლო აოხრებას.

არ ვიცით, ახსოვდა თუ არა სტალინს სახელი და საქმენი ალექსანდრე კახთა მეფისა (1574 -1605), რომელიც არ მიეკუთვნება ჩვენს ისტორიასა და მწერლობაში (შესაბამისად — მკითხველის ცნობიერებაში) პოპულარულ პერსონაჟთა რიგს.

იმ აურაცხელი გმირებისა და თავდადებულ მოღვაწეთა ფონზე, ვისი სახელებითაც სამართლიანად ამაყობს ქართველი ხალხი, ალექსანდრე კახთა მეფე, ერთი შეხედვით, ფერმკრთალ და უღიმღამო ფიგურად გამოიყურება. არც მტრის უზარმაზარი ლაშქარი დაუმარცხებია, არც უმაგალითო ამბოხება მოუწყვია დამპყრობელთა წინააღმდეგ, არც თავისი სამეფოს საზღვრები განუვრცია კიდით კიდემდე. მაშ რატომღა უნდა გამოვარჩიოთ სხვათაგან? მხოლოდ იმიტომ, რომ არ გამაჰმადიანებულა? სამშობლოსთვის არ უღალატია? ერთგულნი არ დაუსჯია და ორგულნი არ განუდიდებია?

შევყურებთ საუკუნეთა წყვდიადში მიჩქმალულ კაცს და მისი უზიზილპიპილო პორტრეტი თვალს ვერ მოგვჭრის.

გამოჩენილი ქართველი მკვლევარი ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ ალექსანდრე კახთა მეფე არ უყვარდათ მეზობლებს. მოკავშირე ეჭვის თვალით უყურებდა და მისი ერთგულებისა არაფერი სწამდაო. მტერი კბილებს ილესავდა **„ცბიერსა“** და **„ფიცის გამტეხზე“**. მკვლევარის დასკვნით, ალექსანდრე მეფეს **„რაინდული არა ეცხო რა, ის ცივი ანგარიშის კაცი იყო“**.

მაგრამ მტერიც და მოყვარეც კახთა მეფის პოლიტიკურ სიბრძნესა თუ ილეთიანობას ვერ უარყოფდა. ანგარიშს უწევდნენ და იოლად **„ხელის წამოკვრას“** ვერავინ გაუბედავდაო.

ალექსანდრე მეფე არც ირანისა და არც ოსმალეთის ყურმოჭრილი ყმა არ გამხდარა.

ირან-ოსმალეთის გაჭიანურებული ომის დროს, როდესაც ლალა მუსტაფა-ფაშას ლაშქარი შირვანიდან ბრუნდებოდა კახეთზე გავლით, გამოცხადდა ოსმალთა მთავარსარდლის ბრძანება; ყველას ეკრძალებოდა სიმშვიდის დარღვევა ალექსანდრე მეფის სამფლობელოში და ყოველი ოსმალო მეომარი ვალდებული იყო, ზრდილობა და თავაზიანობა გამოეჩინა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ამ ბრძანების დამრღვევს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. მაშ!

მართალია, 1578 წლის შეთანხმება ითვალისწინებდა კახეთის ჯარის მონაწილეობას ოსმალთა ომებში, მაგრამ ალექსანდრე მეფე თავს არ იტკივებდა აღნიშნული პირობის შესრულებით.

ასე მაგალითად, 1579 წელს იგი არ მიეშველა ყიზილბაშთა მიერ ალყაშემორტყმულ ოსმალთა გარნიზონს თბილისში, რომლის შესაწევნად ლალა მუსტაფა-ფაშამ თორმეტათასკაციანი ლაშქარი გამოგზავნა.

1582 წელს, როდესაც არზრუმის ფაშა ოციათასკაციანი ლაშქრით გამოემართა ქართლის წინააღმდეგ, ოსმალეთის ხონთქარმა უბრძანა იმერეთის, გურიისა და ოდიშის მეფე-მთავრებს, რომ თავს დასხმოდნენ სვიმონ მეფეს და დაერბიათ ქართლი. ბრძანება კეთილსინდისიერად შესრულდა. **„მოწვეს გაღმართი და გამოღმართი“**, გვაუწყებს ვახუშტი ბატონიშვილი, ოღონდ გაურკვეველია, აღნიშნული ბრძანება არ შემოუთვალეს ალექსანდრე მეფეს თუ მან ყურად არ იღო ხონთქრის შემონათვალი?

ლალა-მუსტაფა ფაშასა და ალექსანდრე კახთა მეფის შეხვედრა

ოსმალებს არც ციხესიმაგრენი ეჭირათ კახეთში და არც ქვეყნის საშინაო საქმეებში ერეოდნენ. დადგენილი იყო ყოველწლიური ხარკი — ოცდაათი საპალნე აბრეშუმი, ათი თვალტანადი ჭაბუკი და ათი ტანკენარი ქალწული, ათი ფრთა შევარდენი და ათი ფრთა მიმინო.

ამის საზღაურად ალექსანდრე აღიარეს კახეთის მეფედ, მაგრამ რჯულის გამოცვლა არ მოუთხოვიათ. თუკი დავძრახავთ კახთა მეფეს იმ **„ცოცხალი ხარკის“** გამო, რასაც შეჰპირდა ოსმალეთის ხელისუფლებას, ისიც ნუ დაგვიწყდება, რომ იმ არეულ-დარეულ დროში არაერთი ქართველი ფეოდალი, მარტოოდენ პირადი ანგარებისთვის, სტამბოლის ბაზრებს გულუხვად ამარაგებდა ასობით თვალტანადი ჭაბუკითა და ტანკენარი ქალწულით.

აღარც მოყვასისა რცხვენოდათ, აღარც ღვთის სასჯელს უფრთხოდნენ. ერთი სიტყვით, ყველაფერს კადრულობდნენ.

თეათინელთა ორდენის მისიონერის არქანჯელო ლამბერტის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ ოდიშის ერთ-ერთ გავლენიან თავადს, გვარად ჭილაძეს, თორმეტი მღვდელი (!) მიუყიდია ოსმალებისთვის.

მაშინდელ შეჭირვებათა ხანაში, ვგონებ, უიშვიათესი მოვლენა გახლავთ — 30 წელიწადი იმეფა ალექსანდრემ. აქედან 24 წელიწადი მძვინვარებდა ირან-ოსმალეთის ომი, მაგრამ ყიზილბაში თუ ოსმალო დამპყრობელნი ერთხელაც არ შეჭრილან კახეთში, მაშინ როდესაც ქართლი, სამცხე-საათაბაგო, შირვანი, ყარაბაღი და აზერბაიჯანი სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზად იყო ქცეული, გაუთავებელი რბევა-თარეში აპარტახებდა და აჩანაგებდა იქაურობას.

სულმნათი ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, ალექსანდრე მეფე ერთგულად მისდევდა მამის (ლევან მეფის) პოლიტიკას და მისი გამჭრიახობით კახეთის სამეფო კიდევ უფრო მოეშენა, მოსახლეობა მომრავლდა, ეკონომიკა მოღონიერდა და კულტურაც აღორძინების გზაზე იდგა. საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებს შორის კახეთი ყველაზე მდიდარი და კეთილმოწყობილი იყო.

ამას წინათ ქართველმა ირანისტმა გია ბერაძემ მიაკვლია სპარსელი პოეტის ფაღფურ ლაჰიჯანის ლექსს, ვინც შაჰ-აბასის მიერ დაპყრობილი გილანის პროვინციიდან გამოქცეულა და კახეთის სამეფოსთვის შეუფარებია თავი.

სტუმარს პათეტიკური სტრიქონებით შეუმკია ალექსანდრე კახთა მეფეც და მისი სამშობლოც. **„საწუთრო აღვსილია ალექსანდრეს დიდებით. საქართველო მისი წყალობით ისქანდერის (ე.ი. ალექსანდრე მაკედონელის. — ლ.გ.) ასპარეზია. მის კეთილშობილ ხელისგულს გამარჯვების ხანჯალი უპყრია, მისი სამეფო ძლევამოსილია, ქვეყანა — აყვავებული“**.

საქართველოს ბუნება მრავალ უცხოელ მოგზაურს შეუქია, მაგრამ სპარსელი პოეტის ლექსებში ორიგინალური შტრიხები იქცევს მკითხველის ყურადღებას.

ფაღფურ ლაჰიჯანი საქართველოს მარტივად როდი უდარებს სამოთხეს, არამედ აგონდება ერამის წალკოტი — ზღაპრული სილამაზის ბაღი იემენში, რომელიც თავის დროზე გაუშენებიათ, როგორც სამოთხის ამქვეყნიური ასლი და სპარსელი პოეტი წარმოთქვამს საქართველოს შესახებ:

„მისი მიწის წინაშე, სიტურფის მხრივ, ღირსება დაუკარგავს თვით ერამის წალკოტს. ხამს, მისი დიდებული ჰავის წყალობით, წისქვილის პირშიც რომ იხაროს მარცვალმა“.

დასასრულ, გვესმის მოულოდნელი ხოტბა ქრისტიანული ეკლესიისა მაჰმადიანი პოეტის მიერ, რომელიც, სხვათა შორის, თვით ალაჰის მოციქულ მუჰამედის შთამომავლად მიიჩნევდა თავს. **„შედი მონასტერში, ძალზე მომხიბლავი რომ არის... ისმინე ეკლესიის ზარის რეკვა, იესო ქრისტეს დიდება ისმინე!“**

ქება კახთა მეფისა, ალბათ, გამოწვეული იყო სპარსელი პოეტის პირადი სიმპათიებით გულისხმიერი მასპინძლის მიმართ, რომელმაც გულთბილად მიიღო უცხოელი სტუმარი და საიმედო თავშესაფარი უბოძა.

მაგრამ ისქანდერ მუნშის, სეფიანთა სამეფო კარის მემატიანესა და შაჰ-აბასის მგზნებარე პანეგირისტს, არავითარი სიმპათია არ გაუჩნდებოდა კახეთის მეფისადმი, და მიუხედავად ამისა, მისი თხრობაც თავისებური ქებაა ალექსანდრესი:

„ოსმალებმა ჯარი გამოგზავნეს შირვანის დასაპყრობად. ამ ჯარმა საქართველოზე გამოიარა. ალექსანდრე — ხანმა, რომელიც თავისი სწორი მსჯელობით და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის, ხოლო ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ — ბებერი მგელი, ქართლის მეფის სვიმონის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა, რომ მისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ოსმალთა წინაშე მორჩილების გამოცხადება“.

ისქანდერ მუნშის, თავისი მრისხანე მბრძანებლის დარად, რა თქმა უნდა, სულაც არ ეპიტნავებოდა კახეთის მეფის **„ეშმაკობა და მოხერხება“**, რითაც ალექსანდრემ არაერთხელ გადაარჩინა თავისი სამეფო ყიზილბაშთა თუ ოსმალთა თარეშს — **უხმლოდ, უსისხლოდ, უომრად...**

ირან-ოსმალეთის ომში ძალთა შეფარდება დროდადრო იცვლებოდა ხოლმე. საჭირო იყო ფხიზლად ყოფნა, ზუსტი გამოთვლა და უახლოეს მომავალში მოსახდენ მოვლენათა უცდომელი განჭვრეტა.

XVI საუკუნის დამლევს სეფიანთა ირანი შაჰ-აბასის ძალისხმევით ღონეს იკრებდა, კავკასიიდან ოსმალთა განდევნას გეგმავდა.

და ალექსანდრე მეფეც იძულებული იყო, თვალყური ედევნებინა პოლიტიკური ამინდისთვის. დროულად დაეჭირა თადარიგი.

სპარსელი ისტორიკოსის ცნობით, **„თუმცა ოსმალებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა. კაცს შაჰის კარზე ისტუმრებდა, ერთგულებას უცხადებდა ხელმწიფეს, ძღვენსა და საჩუქრებს უგზავნიდა“**.

თავისი ერთ-ერთი ვაჟი — შვიდი წლის კონსტანტინე მძევლად წარგზავნა სეფიანთა სამეფო კარზე და როდესაც რუსეთის ელჩმა გარკვეული ხნის შემდეგ უკვე მოწიფული ქართველი ბატონიშვილის გადაბირება სცადა, გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზას სასაცილოდ არ ეყო ამგვარი განზრახვა და რუსეთის ელჩს გულახდილად მოახსენა: **„მამაჩემი ყველა ხელმწიფეს აამებს, როგორც ოსმალეთის, ასევე მოსკოვის ხელმწიფეს და შაჰსაც ეკურკურება. არავინ არაფერში არ შეიძლება ენდოს მას“**.

ალექსანდრე კახთა მეფე იმის საუცხოო ნიმუშად გამოდგება, თუ როგორ უნდა შესწიროს კაცმა თავისი პატივმოყვარეობა და სახელის მოხვეჭის წყურვილი სამშობლოს კეთილდღეობას, როგორ უნდა ამარცხებდეს გონება გრძნობას.

ამგვარი სულიერი სიმტკიცე და რწმენა საკუთარი სიმართლისა უფრო იოლი როდია, ვიდრე თავგანწირვა ბრძოლის ველზე.

მაგრამ ამქვეყნად ყველაფერს თავისი დასასრული უწერია. ისპაანში მოთმინების ფიალა აევსოთ. შაჰ-აბასმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა „ბებერ მგელს“ და განაჩენის აღსრულება მიანდო მისსავე „ლეკვს“, კონსტანტინე-მირზად გადაქცეულ კონსტანტინე ბატონიშვილს, თავის ნებაზე რომ ჰყავდა გაწვრთნილი ჯერ კიდევ შვიდი წლის ასაკიდან.

ვაგლახ, ტრაგიკული გამოდგა აღსასრული კახთა მეფისა.

მოამზადა
ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠ�გᲐᲫᲔ

ყირიმი როკფელერების ყოფილა!

ხრუშჩოვმა სტალინის იდეა განახორციელა...

შავი ზღვის ჭეშმარიტი მარგალიტის — ყირიმის ნახევარკუნძულის სახელმწიფოებრივი საკუთრების უმწვავესი საკითხი დიდი ხანია არა მარტო ევრაზიული, არამედ მსოფლიოს დიდი პოლიტიკის ერთგვარ საჯილდაო ქვადაა ქცეული. მაინც ვისი კუთვნილებაა ყირიმი — უკრაინის თუ რუსეთის? დიდი პოლიტიკური დავიდარაბის გამო თავად ყირიმელი თათრების აზრი ამის თაობაზე თითქმის არავის არ ადარდებს, ისევე, როგორც თავის დროზე რუსეთის იმპერიას არ აინტერესებდა, როცა ოსმალეთს ომით წაართვა ეს კურთხეული მიწა.

და მაინც, რამდენადაა დღესდღეობით ყირიმი რუსული და რამდენად — უკრაინული? თუკი უმაღლესი გრიფით დაცული აწ განსაიდუმლოებული მასალებით ვიმსჯელებთ, ამჟამად ყირიმი არც რუსეთის კუთვნილებაა და აღარც უკრაინის — მისი მფლობელი... ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მილიარდერი როკფელერების ოჯახია.

ამის თაობაზე ცოტა ხნის წინათ ვრცლად ცნობილმა რუსეთელმა ჟურნალისტმა **ანდრეი კარაულოვმა** ილაპარაკა, რომელიც რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარეს **ვიაჩესლავ ვოლოდინს** გამოეხმაურა. საქმე ისაა, რომ ამ უკანასკნელმა სახელმწიფო სათათბიროში რუსეთის კომუნისტური პარტიის ფრაქციის წევრებსა და მათ ლიდერ ზიუგანოვს მიმართა იმის თაობაზე, რომ კომუნისტები პასუხისმგებლები არიან იმის გამო, რომ თავის დროზე სკკპ ცკ-ის გენერალურმა მდივანმა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, კომუნისტმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ყირიმი რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობიდან უკრაინას „უფეშქაშა“, ახლა კი ამაზე პასუხისმგებლობა მის „მემკვიდრეებს“ ეკისრებათ.

ამ არცთუ მარტივი საკითხის არსში გასარკვევად, ანდრეი კარაულოვი სვამს კითხვას: მაინც რატომ იყო, რომ უკვე მეორე მსოფლიო ომის მიწურულისთვის გამართული ანტიჰიტლერული კოალიციის — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის — სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია 1944 წელს მაინცდამაინც იალტაში შედგა?

სრული ჭეშმარიტებაა: ყირიმი უკრაინას ნამდვილად ნიკიტა ხრუშჩოვმა გადასცა, მაგრამ ასეთი მასშტაბის ნაბიჯის გადასადგმელად უშუალოდ მას არც გონიერება ეყოფოდა, მით უმეტეს, არც გამბედაობა. **ყოველივე ეს ჯერ კიდევ იოსებ სტალინის, ასე ვთქვათ, „საშინაოდ მომზადებული სიურპრიზი“ იყო.**

უშუალოდ ეს ამბავი კი ჯერ კიდევ ვლადიმერ ლენინის დროს დაიწყო: მე-20 საუკუნის 20-იან წლებში, ახალგაზრდა საბჭოეთის რესპუბლიკას ჰაერივით სჭირდებოდა საკუთარი ეკონომიკის ფეხზე წამოყენება, რისთვისაც, ცხადია, სათანადო ტექნიკა — ტრაქტორები, ორთქლმავლები, მანქანა-დანადგარები და ა.შ. იყო აუცილებელი. უფულოდ კი ამას საბჭოელებს, რაღა თქმა უნდა, არავინ მიაწვდიდა და სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ვლადიმერ ლენინი იძულებული გახდა, ჯონ როკფელერის ბანკისგან სესხი — 50 მილიონი დოლარი აეღო, გირაოდ კი... ყირიმი ჩაედო. სესხის — პროცენტებიანად! — დაფარვის ვადად 1946 წლის 1 იანვარი დათქვეს, ხოლო ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ნახევარკუნძული ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიის ნაწილი ხდებოდა!!!

ამ პროექტს „ყირიმული კალიფორნია“ ეწოდებოდა და, ანდრეი კარაულოვის განცხადებით, მის შესახებ ყველა მასალა სადღეისოდ განსაიდუმლოებულია, რაშიც ლომის წილი რუსეთის მთავრობის ყოფილ ვიცე-პრემიერ მიხეილ პოლტარანინს უდევს.

1943 წელს (სინამდვილეში უფრო ადრეც), როკფელერის ბანკისთვის ვალის გადახდის დათქმული თარიღის მოახლოებასთან ერთად, დაიწყო ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაოები და მოსინჯვითი მოლაპარაკებები ყირიმში... ისრაელის სახელმწიფოს შექმნის თაობაზე და, ამ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირს აღარ მოუწევდა დიდი სესხის გასტუმრება. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი კი ის იყო, რომ პალესტინა ტრადიციულად ბრიტანეთის ინტერესთა სფერო იყო, არც არაბთა სამეზობლო იყო მაინცდამაინც ხელსაყრელი. იმისთვის, რომ იოსებ სტალინი ამ წინადადებას ზედმეტად არ შეწინააღმდეგებოდა, ამერიკელებმა ახალი სახელმწიფოს სათავეში საბჭოთა კულტურის ცნობილი მოღვაწის **სოლომონ მიხოელსის** დაყენების წინადადება წამოაყენეს, რაც, ანდრეი კარაულოვის თქმით, ამ უკანასკნელს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

და მაინც, რატომ იყო, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოების მეთაურთა 1944 წლის კონფერენცია მაინცდამაინც იალტაში შედგა? იმიტომ, რომ პრეზიდენტ რუზველტის ოჯახმა, ასევე ამერიკის პოლიტიკური ისტემბლიშმენტისა და ბიზნესის მრავალმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა „ყირიმული კალიფორნიის“ აქციების დიდი ნაწილი შეიძინეს, ამიტომაც ამერიკულ ელიტას დიდად აინტერესებდა „ახლადშეძენილი ქონების“ საკუთარი თვალით ხილვა.

მაგრამ, იოსებ სტალინი ყირიმში სახელმწიფო ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგი იყო, ამიტომაც, იმისათვის, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს (უფრო სწორად კი როკფელერის ბანკს) „ის“ 50 მილიონი დოლარი ვალი და მასზე დარიცხული პროცენტები უკან აღარასდროს მოეთხოვა და ეს გარემოება არ გამოეყენებინა ზეწოლის არგუმენტად, მან „საშინაო სიურპრიზი“ მოუმზადა: იმის წყალობით, რომ ახლადშექმნილ საერთაშორისო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირს დამატებით რამდენიმე „თავისი“ ხმა ჰქონდა — უკრაინის, ბელორუსიის, როგორც „დამოუკიდებელი ქვეყნების“, — გადაწყვეტილი ჰქონდა ყირიმი რუსეთის ფედერაციიდან უკრაინისთვის გადაეცა. ამ სვლით, ადრე თითქოს სავსებით ნათელი ვითარება — 50 მილიონ დოლარად დაგირავებული ყირიმის ვალი რუსეთის ფედერაციას ულაპარაკოდ უნდა გაესტუმრებინა! — სრულიად ბუნდოვანდებოდა: გამოდიოდა, რომ ვალი ერთმა სახელმწიფომ აიღო (რსფსრ-მა), გასტუმრებით კი, უკრაინას უნდა გაესტუმრებინა!

ამრიგად, ნიკიტა ხრუშჩოვმა უბრალოდ იოსებ სტალინის იდეა განახორციელა, მაგრამ, როგორი იქნება ამ ამბის ფინალი, ცოტა არ იყოს, ძნელი სათქმელია — როკფელერებს რომ იტყვიან, არსად არ ეჩქარებათ!

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ამერიკელებმა გადაიფიქრეს

აშშ-მა შავ ზღვაში ორი სამხედრო ხომალდის გაგზავნის გადაწყვეტილება გააუქმა. თურქეთში აშშ-ის საელჩომ თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ ნაბიჯის შესახებ შეატყობინა, მაგრამ მიზეზი არ დაუსახელებიათ. აშშ-ის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ თურქეთმა, სავარაუდოდ, არასწორად გაიგო თავდაპირველი შეტყობინება, რადგან ვაშინგტონის მიერ შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების გაგზავნა საბოლოოდ არ დადასტურდა.

13 აპრილს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიაბკოვმა განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ შავ ზღვაში სამხედრო ხომალდების გაგზავნა რუსეთის ნერვებზე თამაშის მცდელობაა.

სოხუმი ენგურზე საზღვრის გახსნის ინიციატივით გამოდის!

ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ენგურზე გადაადგილების შეზღუდვის გაუქმების ინიციატივით გამოდის. ამ ეტაპზე საუბარია გადაადგილების დაშვებაზე მხოლოდ გალის რაიონის მოსახლეობისთვის.

შესაბამისი ინიციატივა თათბირზე რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის ახალმა ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფილიამ გააჟღერა.

„(ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან — რედ.) ისმის საუბრები „საზღვრის გადათხრის, ან დანაღმვის, სამუდამო ჩაკეტვის აუცილებლობაზე“. ეს სრულიად გაუგებარი მიდგომაა. ეს შეიძლება, იმან თქვას, ვისაც წარმოდგენა არა აქვს რეალობაზე. ჩვენ კი, თუ ვინმეს რაიმე არასწორად აქვს აღქმული, ვსაუბრობთ საზღვრის გახსნაზე მხოლოდ გალელებისთვის. ვსაუბრობთ ადამიანებზე, რომლებიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველამ უკვე პირადად გავიცანით, რომლებსაც უკვე ყველა ვიცნობთ, იცნობენ შესაბამისი სამსახურები. აქ აღარ დარჩნენ ადამიანები, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ 1992-93 წლების ომთან, დარჩენილები არიან მხოლოდ ისინი, ვისაც იარაღი არასოდეს სჭერია ხელში. ეს ადამიანები ჩვენთან ერთად ცხოვრობენ აფხაზეთში, თავის საგვარეულო სახლებში. რაშია პრობლემა, რომ მათთვის გადაადგილება დავუშვათ? ან თუ ხელბარგში რაიმეს გადმოიტანენ — პროდუქტს, მაგალითად, რა პრობლემას გვიქმნის ეს, გამაგებინეთ? ეს ხომ შესაბამისი სამსახურების მიერ მოწმდება? ჩვენი პარლამენტი, სხვა შესაბამისი სამსახურები იმისთვის არსებობენ, რომ დაადგინონ, რისი გადმოტანა შეიძლება, რისი — არა და მორჩა, მე სხვა ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ ყველანი გადაჯაჭვულები ვართ ერთმანეთში: ამ ადამიანებს ჰყავთ ნათესავები, ახლობლები ენგურს იქით, სჭირდებათ მათთან ურთიერთობა და ა.შ. ერთადერთი, უნდა დავაკვირდეთ ეპიდვითარების დინამიკას და მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება“, — განაცხადა კონსტანტინე ფილიამ.

5-დღიანი კარანტინის მოხსნას ითხოვდნენ გალის მკვიდრები და განმარტავდნენ, რომ რეგულაცია მათ ცხოვრებას კიდევ უფრო ართულებს, ვინაიდან ხშირად მხოლოდ ორიოდე დღით ესაჭიროებათ სხვადასხვა საჭიროებებისთვის ზუგდიდში გადმოსვლა. ამ მოთხოვნით ქვეყანაში რამდენიმე აქცია გაიმართა.

14 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებლებისთვის 5-დღიანი კარანტინი იხსნება.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ 2021 ᲬᲚᲘᲡ „12“ Ა�პᲠᲘᲚᲘᲡ №01-01-3/185 ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲕᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ³/წელიწადში	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ქ.ბათუმი, ტაოს ქ.N7	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	6 000 მ³	101,00	240,00
2	ქ.ბათუმი, ნ.შაშიკაშვილის ქ.N 106	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	18 000 მ³	302,00	300,00
3	ქ. ბათუმი, ადლიის ქ.N167	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	25 000 მ³	420,00	350,00
4	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჭახელა	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება სამეწარმეო დანიშნულებით	P_2	5 წელი	8 000 მ³	134,10	250,00

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ)ჭაბურღილებზე მოსაწესრიგებელია თავმორთულობა და ჰერმეტიზაციას; თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობითა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტო“-სა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
ბიჯის სიდიდე	საწყისი თანხის 10%
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 19 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 19 მაისს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2021 წლის 19 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 19 მაისს დღის 18.00 საათზე
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲣᲛᲝᲙᲚᲔᲡᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲖᲔᲛᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲭᲐᲨᲘ

ᲖᲔᲛᲝ იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი 51 კმ-მდე გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია აქტიურად მიმდინარეობს.

„გზა საჩხერიდან იწყება და გაივლის შემდეგ სოფლებზე: სარეკი, ქვემო ხევი, უზუნთა, შქმერი, ბოყვა, კვაშხიეთი, ზუდალი და საბოლოოდ გზა შეუერთდება ამბროლაური-ონის გზას, რომელიც ქ. ამბროლაურიდან დაშორებულია 20 კმ-ით, ხოლო ქ. ონიდან 5 კმ-ით. პროექტი 7 მონაკვეთადაა დაყოფილი.

გზის დიდი ნაწილი ფაქტობრივად დაუსახლებელ ტყიან ზონაში მდ. ხეორის ხეობაში გადის და ზღვის დონიდან 1000-1500 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. არსებული გზა გრუნტოვანი იყო, პროექტის შესაბამისად კი გზის სრული რეაბილიტაცია მოხდება და ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება.

ამ დროისთვის, ინტენსიური სამუშაოები 5 ლოტზე ერთდროულად მიმდინარეობს, კერძოდ მიწის სამუშაოები, ხელოვნური ნაგებობების მოწყობა და ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება ხორციელდება. ზემო იმერეთი-რაჭის გზის პირველ და მეორე ლოტებზე სამუშაოები უკვე დასრულებულია. ამ ეტაპზე, დაგებულია 10 კმ-მდე გზა. ზემო-იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დასრულება დაგეგმილია 2021 წლის ბოლოსთვის.

ზემო იმერეთი-რაჭის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა ძალიან მნიშვნელოვანია სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით. საჩხერე-ონის მარშრუტის სამგზავრო დრო (სიგრძე 111 კმ) დაახლოებით 2 საათია, ხოლო ზემო იმერეთი-რაჭის ახალი საავტომობილო გზით საჩხერე-ონის მარშრუტი, სულ მცირე, 1 საათით მცირდება. სატრანსპორტო მოძრაობა საჩხერე-ონის გზაზე მნიშვნელოვნად გაზრდის მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხს, განსაკუთრებით ქალაქებსა და სოფლებში. თბილისიდან ონში მგზავრობის დრო 1,5 საათით შემცირდება და 6 საათის ნაცვლად მგზავრობის დრო 4,5 საათი იქნება.

ახალი დამაკავშირებელი გზა გამოაცოცხლებს ლეჩხუმისა და რაჭის რეგიონებს და მათ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება 111 165 310 ლარს შეადგენს“ — ნათქვამია ინფორმაციაში.



◎ ლეგიონერი

როგორც შეეძლო...

ლიგა ენდესას 31-ე ტურში „ტენერიფე“ მადრიდში 76:84 დამარცხდა „რეალთან“, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატი ვადამდე მოიგო, თუმცა, კუნძულელთა ქართველ ლიდერ გიორგი შერმადინს თავი არც ამჯერად შეურცხვენია და პარტნიორებს 15 ქულა მოუტანა. იგი შედეგიანობით მხოლოდ უერტასს ჩამორჩა — 23 ქულა, მეტოქეთაგან კი ლაპროვიტოლამ იყოჩაღა — 21 ქულა.

სტუმართაგან განსხვავებით, ესპანურ გრანდს აღნიშნულ მატჩამდე მოტივაცია კატალონიაში „ბარსელონასთან“ მოგებულმა ელ კლასიკომ — 87:85 და, რაც მთავარია, „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტად ახალი ვადით ფლორენტინო პერესის არჩევამ შეჰმატა.

რადგან პაბლო ლასოს გუნდი ვახსენეთ, გაუწყებთ იმასაც, რომ ევროლიგის მეოთხედფინალურ პლეი-ოფში იგი „ეფესს“ შეხვდება. დანარჩენი წყვილები: **„ბარსელონა“ — „ზენიტი“, ცსკა — „ფენერბახჩე“ და „მილანი“ — „ბაიერნი“.**

დავძენთ, რომ სერია 20-21 აპრილს დაიწყება და 3 გამარჯვებამდე გაგრძელდება.

◎ ხუთი რგოლი

იაპონელთა 70 პროცენტს ტოკიოს თამაშების გადადება ან გაუქმება სურს

სააგენტო კიოდო ნიუსის გამოკითხვა მოწმობს, რომ იაპონიის მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტს ტოკიოს ოლიმპიადის გადადება ან გაუქმება სურს. უფრო კონკრეტულად, რესპონდენტთა 39.2 პროცენტი თამაშების გაუქმებას ემხრობა, 32.8 პროცენტი გადადებას ამჯობინებს და მხოლოდ 24.5 პროცენტს სურს, რომ ოლიმპიადა განრიგის შესაბამისად გაიმართოს.

ტოკიოში 1-თვიანი პერიოდი დაიწყო,რომლის განმავლობაში რეგიონში გატარდება საგანგებო ზომები, რომელთა მიზანიც კორონავირუსის პანდემიის მეოთხე ტალღის თავიდან აცილებაა.

გამოკითხვით დადასტურდა აგრეთვე, რომ იაპონელთა 92.6 პროცენტი ინფექციების რიცხვის ზრდით შეშფოთებულია.

ქვეყანაში აცრები ორშაბათს დაიწყო და ის უპირველესად 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობას ეხება. ვაქცინაცია ჯერჯერობით ქვეყნის 120 მხარეში მიმდინარეობს.

◎ თანამედროვე

ღირსებით შემკული

მოგეხსენებათ, სტუდენტობის წლებს ვერაფერი შეედრება, რის გამოც ის პერიოდი განსაკუთრებით გვეძვირფასება.

ალბათ, ამიტომაც მივაქციე გამორჩეული ყურადღება რამდენიმე დღის წინათ უფროსი მეგობრის ბადრი ბარკალაიას მიერ მოწოდებულ ინფორმაციას — მალე ჩვენს საყვარელ თანაკურსელ გია ციხისთავს საიუბილეო თარიღი უსრულდებაო.

საზოგადოება კარგად იცნობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულის (სპეციალობა — სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა) მრავალმხრივ მოღვაწეობას, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის დამსახურებული წარმომადგენელი და ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის თავმჯდომარე სამბოში სპორტის ოსტატიც გახლავთ და ქვეყნის წინაშე სავალდებულო მსახურებისას ბელარუსში სამხედრო ოლქის ჩემპიონატის პრიზიორიც გახდა.

ეს არცაა გასაკვირი — ბატონი გია ხომ ფალავანთა სამჭედლოს — კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის მკვიდრია.

სამაგალითო თანამეინახეს, ჩაუმქრალი სიყვარულის სიმბოლოს ღირსეულად მოუკეცავს მე-80 გაზაფხული.

ვულოცავთ!

◎ ჩემპიონთა ლიგა

მხოლოდ მორალური...

როგორც ბევრი ვარაუდობდა, პირველი, საშინაო რაუნდის წაგება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტთათვის საბედისწერო გამოდგა — მართალია, საპასუხო მატჩები მოიგეს, მაგრამ ეს მათთვის მხოლოდ მორალური კმაყოფილების მომტანი აღმოჩნდა, უძლიერესთა კვარტეტი კი ასე დაწყვილდა: „პსჟ“ — „სიტი“, „რეალი“ — „ჩელსი“.

„პარი სენ-ჟერმენი“ — „ბაიერნი“ 0:1
(3:2)

ან უკვე ყოფილი ტრიუმფატორის საკადრო ვითარება განვლილ კვირაში კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან ლევანდოვსკისა და გნაბრის ლაზარეთში გორეცკაც შეუერთდა მაშინ, როცა მასპინძლებს მხოლოდ ტრავმირებული მარკინიოსი აკლდათ.

ბრძოლის სიუჟეტი არც ამჯერად შეცვლილა — რეკორდმაისტერი იძულებული იყო, შეეტია, ნეიმარი და მბაპე კი დი მარიასთან ერთად მჩხვლეტავ კონტრიერიშებს ანხორციელებდნენ.

მართალია, ფლიკის შეგირდებმა რევანში აიღეს, მაგრამ, მეტოქის მსგავსად, არაერთი სახიფათო მომენტი გაანიავეს და ტიტული ღირსეულად დათმეს.

„ჩელსი“ — „პორტუ 0:1
(2:0)

მოსაწყენი სანახაობა და, საერთოდ, მთელი ტურნირი მეჰდი ტარეგის ზღაპრულმა მაკრატელამ დაამშვენა, მთლიანობაში კი „არისტოკრატებს“ პრობლემა არ შექმნიათ.. „ჩელსი“ ინგლისური კლუბებიდან პირველი გახდა, ვინც მერვედ ითამაშებს ლიგის ნახევარფინალში.

სხვათა შორის, მისმა თავკაცმა ტუხელმა შარშან „პსჟ“ ფინალში გაიყვანა...

ოთხშაბათის სესიაში როლები შეიცვალა — ამჯერად მასპინძლებმა ერთი კვირის წინათ მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნეს.

„ლივერპული“ — „რეალი“ 0:0
(1:3)

მართალია, მასპინძლებმა გაიფაფხურეს და რამდენიმე ხიფათიც შექმნეს კურტუას კართან, მაგრამ მთლიანობაში სტუმრებმა რამოს-ვარანის წყვილისა და ვასკესის არყოფნის მიუხედავად, მაინც უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე საერთო წარმატებამდე, მათმა ლიდერმა ბენზემამ კი სეზონში მე-12(!) მოარტყა ბურთი ძელს.

„დორტმუნდი“ — „სიტი“ 1:2
(1:2)

გვარდიოლამ მოურინიუს რეკორდი გაიმეორა და თავისი გაწვრთნილი გუნდი მე-8(!) გაიყვანა ლიგის ნახევარფინალში.

თითქმის ნატურიდან

ბორჯომული საჭადრაკო ნოველა

ბორჯომის ხეობა და მისი მარგალიტი — ლიკანი, გამორჩეულია ულამაზესი ბუნებით, მინერალური წყლებით, სამუზეუმო კომპლექსით.

ბორჯომში იქმნებოდა სამუსიკო ხელოვნების შედევრები, პეტრე ჩაიკოსკის და ზაქარია ფალიაშვილის ქმნილებები. მისმა ბუნებამ შთააგონა პეტრე ჩაიკოვსკის „გედის ტბა“ და მისი უმშვენიერესი ქართული მელოდია, რომელიც გამოიყენა თავის ნაწარმოებში.

„ჩემთვის ცნობილია აღიარებული კურორტი Выше, но боржоми еще выше**“** — ბრძანებდა კომპოზიტორი.

აქ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩები გაფრინდაშვილსა და ჩიბურდანიძეს, ახმილოვსკაიას და ჩიბურდანიძეს შორის.

სანატორიუმი „ლიკანი “ მისი მხრეგაშლილი დარბაზით ბორჯომის მკვიდრთა და მის სტუმართა უსაყვარლესი ადგილია. ვის არ შეხვდებოდით და შეხვდებით აქ.

დღესაც ბევრს ახსოვს დიდი მელორ სტურუა, რომელიც აქ ჭადრაკის მოყვარულთა უპირობო ლიდერი გახლდათ.

ქართული დიპლომატიის ბერმუხა სულგანათლებული ალექსანდრე ჩიკვაიძე, რომელიც ჭადრაკის საკავშირო ფედერაციას თავკაცობდა 1986-88 წლებში დიდ პატივს სცემდა მეცენატობით გამორჩეულ ირაკლი ნემსაძეს, არასდროს დამავიწყდება მამულიშვილური სულისკვეთების ამ დიდებული პიროვნების თხოვნა, რომელმაც იოლი გამარჯვებებით გაყოყოჩებული რუსი პოლკოვნიკის წინააღმდეგ სათამაშოდ განმაწყო.

თამაზ, — მეუბნება, ხომ ხედავ, დაიბრიყვა ახალგაზრდები. აბა, შენ იცი, არ შემარცხვინოო. მაშინ მხოლოდ მეორე თანრიგოსანი ვიყავი და იოლად დავუმტკიცე მოწინააღმდეგეს, რომ რამდენიმე პარტიის მოგება მისგან შემთხვევითი იყო. დავუმტკიცე მეტოქეს, რომ მისი „სამხედრო მოქმედებათა“ არეალი „ვიწროი არს“, ხოლო გამარჯვებათა წყება, რაც მოყვარულებთან მოიპოვა, ბევრს არაფერს ნიშნავდა.

გაბრაზებულმა პოლკოვნიკმა მთხოვა კიდევ ერთი პარტია მეთამაშა. შუა თამაშში უხეში შეცდომა დაუშვა და დიდხანს ჩაფიქრდა, სვლას არ აკეთებდა... უიმედო პოზიციაში პოლკოვნიკის უპირობო კაპიტულაციას ველოდებოდი. გაჭიანურებული პაუზის შემდეგ კეთილმოსურნის ტონით სახელდახელო მუნასიბი მივუძღვენი. 1970 წელს თქმულს, დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ:

„Боится боец,
За шахматной доской,
Позиция бойца
полна тоской **(თ. შ.)**

ბატონმა ირაკლიმ კმაყოფილებით გადმომხედა და შენიშვნებიც დაურთო. ჩვენდა მოულოდნელად, პოლკოვნიკმა გამართული ქართულით მოგვმართა:

„გეყოფათ, რა... მე ქართული ოჯახი შევქმენი, ჩემი მეუღლე ქართველია, ბიჭიც ქართულ სკოლაში სწავლობსო“.

ჩუმად დავტოვეთ „ბრძოლის ველი“ და ეზოში გავისეირნეთ. ხავერდოვანი სექტემბრის საღამო იდგა, მტკვრის დუდუნი ყურში შორიდან ჩამესმოდა.

ბორჯომი, 1970 წ.

თამაზ შენგელია
15/IV.2021

საქართველოს პრეზიდენტმა ხუთი ქართველი მეცნიერი დააჯილდოვა

საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საქართველოში კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის განვითარებაში, ძველი ქართული ნათარგმნი და ორიგინალური მწერლობისა და ქართულ-ბიზანტიური საეკლესიო მწერლობის კვლევაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ენრიკო გაბიძაშვილი** ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

„თანამედროვე მოთხოვნებმა არ უნდა დაგვავიწყოს ძველი ქართული ენის და მწერლობის კვლევები, რომლებიც გვიხსნიან იმ მდიდარ საფუძველს, რასაც ქართული ენა ეყრდნობა. ამ მიმართულებით გაწეული უდიდესი ღვაწლისათვის ვაჯილდოებ პროფესორ ენრიკო გაბიძაშვილს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

4 ქართველი მეცნიერი კი პრეზიდენტმა ღირსების მედლით დააჯილდოვა.

პრეზიდენტმა ქართული ენის სიწმინდის დაცვასა და ქართული ენის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის **ვახტანგ ელერდაშვილი** ღირსების მედლით დააჯილდოვა.

„გადავწყვიტე, დედაენის დღეს დამეჯილდოებინა ადამიანები, ვინც სხვადასხვა კუთხით ემსახურებიან ქართული ენის გადარჩენასა და განვითარებას. ამის ერთერთი მაგალითია ბატონი ვახტანგ ელერდაშვილი, რომელმაც მის ირგვლივ გაერთიანებულ ადამიანებთან ერთად სწორედ ციფრული ინსტრუმენტები შექმნა და ქართული ენა ციფრულ სივრცეში შეიყვანა“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

საზღვარგარეთ ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის კი **მაია დარჩია** და **ლელა ჟორჟოლიანი-ლიკლიკაძე** დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით.

„ქალბატონი მაია დარჩია და ლელა ჟორჟოლიანი წლების მანძილზე ასწავლიან ქართულ ენას პრაღის კარლის უნივერსიტეტში, თარგმნიან და აცოცხლებენ მას“, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ასევე ღირსების მედლით დაჯილდოვდა დღეს **ზაქარია ფურცხვანიძე,** რომელსაც სახელმწიფო ჯილდო საზღვარგარეთ ქართული ენისა და კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისათვის მიენიჭა.

„ზაქარია ფურცხვანიძემ კი გერმანულ სამეცნიერო სივრცეში ქართული ენის კვლევითი მიმართულება გააცოცხლა და ქართული ენა გააჟღერა გერმანულ საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ირაკლი ხმალაძე:

ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობას არ დავუშვებთ!

ვაკის პარკი პრეფერენციული გადაწყვეტილებების ტიპური მაგალითია. გიგი უგულავას მერობის დროს გაცემულია ნებართვა მიწის ნაკვეთზე, რომელიც არის რეკრეაციული ზონა, - ამის შესახებ თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, კანონმდებლობაში წერია, რომ ასეთ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მერმა მიიღო სპეციალური, საგამონაკლისო გადაწყვეტილება.

„ეს გადაწყვეტილება მიღებული აქვს გიგი უგულავას, რომელზეც შემდეგ სასამართლო დავა მიმდინარეობდა. სასამართლომ თქვა, რომ კანონიერად არის გაცემული. სასამართლოს არ უმსჯელია, რამდენად მიზანშეწონილია იმ კონკრეტულ ადგილას სასტუმროს აშენება“, — განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

მისივე თქმით, ვაკის პარკი რეკრეაციული სივრცეა, სადაც არ შეიძლება ბეტონის კონსტრუქციების განთავსება. **„იქ ადრე არსებობდა რესტორანი და არა სასტუმრო, ამიტომაც ვამბობთ, რომ იქ სასტუმროს მშენებლობას არ და ვერ დავუშვებთ“.**

მისივე თქმით, იმის გამო, რომ 2011 წელს ვაკის პარკში მშენებლობის ნებართვა გაიცა, აუდიტორულმა კომპანიამ აღნიშნული მიწის ნაკვეთის ღირებულება 5 700 000 დოლარად შეაფასა.

„საუბარია 2800 კვადრატული მიწის ნაკვეთზე, რომელიც შეფასებულია 20 მილიონი ლარად. 20 მილიონი უჯდება ქალაქს ის, რომ არ მივიღოთ ვაკის პარკში სასტუმროს მშენებლობა“, — განაცხადა ირაკლი ხმალაძემ.

◎ გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა!

ეს ჩვეულებრივი ქართული ბაქიბუქია თუ... შესანატრი სინამდვილე, „ამხანაგო შავდია“!

ყულევის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში წარმოებული ავიასაწვავი ჩვენს ბაზარს მთლიანად დააკმაყოფილებს



შპს „ფაზის ოილი“ და საკონსულტაციო კომპანია Deloitte & Touche ყულევის მაღალტექნოლოგიური ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის პროექტს, რომლის ინვესტიციის მოცულობა მილიარდ დოლარს აღემატება, 2020 წლიდან ახორციელებენ. თუმცა, პანდემიის გამო საქართველოში პირველი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მშენებლობის პროექტზე მუშაობა ამ ეტაპზე შეჩერებულია.

„ფაზის ოილის“ აღმასრულებელმა დირექტორმა გია შავდიამ განაცხადა, რომ პროექტზე აქტიური მუშაობა მაისიდან გაგრძელდება და როცა ქარხანა ამუშავდება, ის 4.2 მილიონი ტონა ნედლ ნავთობს (94,5 ათას ბარელს დღეში) გადაამუშავებს. აქვე აღსანიშნავია, რომ გარდა „ევრო 6 პრემიუმ“ ბენზინის (სრული მოცულობის 42%), „ევრო 5“ დიზელის (სრული მოცულობის 32%), ჰიდროგასუფთავებული მაზუთის (1.2%), გრანულირებული გოგირდის (0.6%) და პროპანისა (0.5%), ქარხანა საქართველოს მთლიანი ბაზრის დაკმაყოფილებას Jet A1 ავია საწვავის გამოშვებით გეგმავს, რომელიც მთლიანი წარმოებული პროდუქციის 23% იქნება.

„ქარხანა როდესაც გაეშვება, შეეძლება 4.2 მილიონი ტონა ნედლი ნავთობი გადაამუშაოს და აწარმოოს სხვადასხვა ნავთობპროდუქტი, მათ შორის ძალიან მაღალი ხარისხის ავიასაწვავის წარმოებას დავიწყებთ, რომელიც საქართველოს ბაზარს მთლიანად დააკმაყოფილებს და ნაწილს ექსპორტზეც გავიტანთ. ამის საშუალებას საწვავის ხარისხის და ფასის ხელმისაწვდომობა მოგვცემს. ავიასაწვავი წარმოებული პროდუქციის მთლიანი მოცულობის 23% იქნება. ეს ფაქტი საქართველოს საშუალებას მისცემს, მოლაპარაკებები აწარმოოს ბაზრის ლიდერ კომპანიებთან, მაგალითად როგორიცაა Fedex, DHL, TNT“, — განაცხადა გია შავდიამ.

„ფაზის ოილის“ აღმასრულებელმა დირექტორმა აღნიშნა, რომ ქარხნის დაპროექტება ამ დრომდე პანდემიის გამო ვერ დასრულდა, თუმცა მიმდინარე წლის მაისიდან მუშაობის აქტიურად განახლება იგეგმება, რის შემდეგაც დაიწყება მიწის სამუშაოები.

„ამ ეტაპზე გაჩერებულები ვართ, მაისიდან დაპროექტების დამთავრებაზე მუშაობას გავაგრძელებთ და ზაფხულიდან უკვე მიწის სამუშაოებს დავიწყებთ. მშენებლობის დაწყება ჯერჯერობით არ ვიცით, როდიდან იქნება შესაძლებელი, ნებართვა უნდა ავიღოთ, თუმცა მაისიდან კომპანია აქტიურ ქმედებებზე გადავა. დანონსებული თარიღი, რომელიც 2021 წელს ქარხნის მშენებლობის დაწყებას და რამდენიმე წელიწადში დასრულებას გულისხმობს, შესაძლოა, გადაიწიოს, მაგრამ ამ ეტაპზე ვაკვირდებით მოვლენებს და ჯერ ეს თარიღები არ შეცვლილა“, — განმარტავს გია შავდია.

მისი თქმით, საქართველოში პირველი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის აშენების შემდეგ საწვავი 15-20%-ით გაიაფდება. გარდა ამისა, ქარხნის აშენების შემდეგ, საწარმოო პროცესში ნედლი ნავთობის თითქმის სრულად, დაახლოებით 98%-ით გადამუშავება მოხდება. გია შავდიას ინფორმაციით, ყაზახური ნავთობი არის საბაზისო, მაგრამ ასევე განიხილება სარეზერვო ნავთობი, რომელიც არის ლიბიის და საუდის არაბეთის.

აღსანიშნავია, რომ გეგმის მიხედვით ქარხნის მშენებლობა 2021 წელს უნდა დაიწყოს. პირველ ეტაპზე, პროექტს თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სტატუსი ექნება. ინვესტიციის მოცულობა დღევანდელი მდგომარეობით 41.1 მილიარდია, რომელიც მშენებლობის 4 წლის განმავლობაში იქნება ათვისებული. ხუთი წლის შემდეგ, როდესაც ქარხანა სრული სიმძლავრით ამოქმედდება, საგადასახადო შეღავათები მოიხსნება და წინასწარი გათვლებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველწლიურად დაახლოებით 50-60 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს.

ნინო თამაზაშვილი

თავდასხმა ნაციონალების ოფისზე

ბათუმში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისის შუშის კარი ჩაამსხვრიეს. შემთხვევა გუშინ გვიან ღამით მოხდა.

შემთხვევის ადგილას იმყოფებოდა კრიმინალური პოლიცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ნივთის დაზიანებას ან განადგურებას.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

ვულოცავთ!
მუდამ ზნეობის გზით
ვახტანგ ბურჯანაძე-80

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე აკეთებენ უაღრესად საჭირო და სასიკეთო საქმეს, ერთგულად დგანან ქვეყნისა და ხალხის სამსახურში, მაგრამ ყოველივე ამისთვის არ მოითხოვენ ხოტბა-დიდებას. არადა, ნამდვილად იმსახურებენ ყოველივე ამას.

ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება ვახტანგ ბურჯანაძე, დიდებული ოჯახის შვილი და ასევე ოჯახის პატრონი, ერთგული მეგობარი და მაღალი ზნეობის მატარებელი ადამიანი.

ვახტანგი თავის ტრადიციულ ოჯახში ბავშვობიდანვე ეზიარა შრომას, შეისისხლხორცა ადამიანური თვისებები.

დღესაც, დამსახურებული პიროვნების, შსს სისტემაში წლების მანძილზე მომუშავე მაღალჩინოსნის ცხოვრების წესის გათვალისწინება, ზნეობის მაგალითები, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, მომავალ თაობებს. ვახტანგი ყველა სიკეთესთან ერთად პოეტური ბუნების კაცია და არაერთი გულწრფელი პოეტური კრებულის ავტორი გახლავთ.

ჩემო ვახტანგ, უნდა იყო მხნედ, შემართებით, რათა კვლავ აკეთო ის კეთილი საქმეები, რომლებიც დიდი რუდუნებით გიკეთებია აქამდეც.

ამ საიუბილეო თარიღს განსაკუთრებული პატივისცემით ვულოცავ შენს უკეთილშობილეს მეუღლეს, ქალბატონ ნანას, თქვენს სპეტაკ და ჩემთვის საყვარელ ოჯახს, მის ყველა წევრს.

ჩემო ვახტანგ, ჩემო ორი დღით უფროსო მეგობარო, იდექი მედგრად, გვეყოლე ჯანმრთელად — ქვეყნის, საყვარელი ოჯახის და სამეგობროს საკეთილდღეოდ.

დიდი პატივისცემით
გია ციხისთავის ოჯახი
16 აპრილი, 2021 წ.

◎ დღესასწაული

დიდმარხვის მეხუთე კვირიაკე

17 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღვთისმშობლის დაუჯდომელს — „აკათისტოს“ იხსენიებს.

...ცნობილია, იესო ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობლის და წმინდანების საევედრებელი საგალობლები ჩვეულებისამებრ, ფეხზე დგომით სრულდება. ნიშანდობლივია ისიც, რომ თავდაპირველად დაუჯდომელი მხოლოდ ღვთისმშობლის საგალობელს ერქვა (მის შექმნას, სავარაუდოდ, VI-VIII საუკუნეებს მიაწერენ), შემდეგ კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ქრისტეს, წმინდანთა და დღესასწაულთა საგალობელსაც ეწოდა.

საგულისხმოა, რომ ქართულ საგალობელთაგან (ორიგინალურ) ასეთია სვეტიცხოვლის დაუჯდომელი.

რაც შეეხება ღვთისმშობლის აკათისტოს, ის პირველად XI საუკუნეში უცნობმა მთარგმნელმა თარგმნა, რომელიც ამ საგალობელს ცნობილ ბიზანტიელ ჰიმნოგრაფს რომანოზ მგალობელს მიაწერს.

* * *

18 აპრილს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმარხვის მეხუთე კვირიაკეს იხსენიებს ღირს მარიამ მეგვიპტელს.

...ახალგაზრდა და გამოუცდელი მარიამი 17 წლის განმავლობაში ცოდვებში ცხოვრობდა, შემდგომში კი ის თავისი უმკაცრესი ღვაწლით სულიწმინდის ტაძრად იქცა.

ღმრთის ნებით, უდაბნოში უკვე ღრმად მოხუცებული ღირსი მარიამი სიკვდილის წინ იორდანეს წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მცხოვრები ბერი ზოსიმეს ხელით ეზიარა, ერთი წლის შემდეგ კი სული უფალს შეჰვედრა.

... თავისი ცხოვრებით ღირსმა მარიამმა სინანულის უდიდესი მაგალითი დაგვიტოვა.

გიული ლიპარტია

რობერტ სტურუა:
დამშვიდდით, თეატრიდან არ მივდივარ!
გამაგდეთ და წავალ!



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი „ფეისბუქზე“ წერს, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

„დამშვიდდით, თეატრიდან არ მივდივარ! გამაგდეთ და წავალ! მხოლოდ მაშინ! მიყვარხართ ქართველებო!“ — წერს რობერტ სტურუა.

შეგახსენებთ, რომ რეჟისორმა საჯაროდ დაუჭირა მხარი დასის მსახიობ ბესო ზანგურს, რომელსაც ყოფილი ცოლი ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებს.

თეა წულუკიანი ოზურგეთის თეატრის დასს შეხვდა

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის თეა წულუკიანის რეგიონებში გასვლითი შეხვედრები გრძელდება. სამინისტროს ინფორმაციით, ზუგდიდის შემდეგ, მინისტრი ეწვია სსიპ ოზურგეთის ალექსანდრე წუწუნავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს, რომლის გახსნაც უახლოეს მომავალში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მონაწილეობით არის დაგეგმილი.

თეა წულუკიანმა თეატრის ახლად რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერა და სპექტაკლის გენერალურ რეპეტიციას დაესწრო.

მინისტრმა ასევე ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ხელმძღვანელობასა და დასის წევრებთან გამართა შეხვედრა. თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტია რეგიონული თეატრების გაძლიერება. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა თეატრებს შორის თანამშრომლობისა და თანადგომის მნიშვნელობის შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ ოზურგეთის თეატრი კარს გაუღებს ყველა იმ თეატრს, რომელსაც ინფრასტრუქტურული პრობლემები აქვს და იქცევა კულტურულ ჰაბად, სადაც სხვადასხვა თეატრის წარმომადგენლები, თეატრმცოდნეები და ამ დარგის სპეციალისტები მოიყრიან თავს.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ გურიაში სახელმწიფო რწმუნებული გიორგი სახოკია, „თეატრალური საზოგადოების“ ხელმძღვანელი გიორგი გეგეჭკორი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

„ბედის ირონია“ ამერიკას დაიპყრობს

რუსულ **საკულტო, საახალწლო ფილმს „ბედის ირონიას“ რიმეიქსს ჰოლივუდში გადაიღებენ. რუსული წარმოშობის რეჟისორი მარიუს ვაისბერგი ელდარ რიაზანოვის 1975 წლის ეკრანიზაციას ცოტათი შეცვლის, მაგრამ ძირითადი სიუჟეტი იგივე დარჩება.**

სცენარი უკვე მზადაა და გადაღებები 2021 წლის ივნისში დაიწყება. ძირითადი ლოკაცია ბოსტონის მახლობლად მდებარე ორი პატარა ქალაქი იქნება, სადაც მართლაც უამრავი მსგავსი სახლებია.

როგორც აღმოჩნდა, აბანოში სიარულიც არაა უცხო ამერიკის მოსახლეობისთვის, ამიტომ ეს ეპიზოდი თითქმის უცვლელი დარჩება.

ფილმში მთავარ როლებს ემა რობერტსი და თომასონ მანომი შეასრულებენ.

იმედია, პრემიერის შემდეგ ჩვენი კინო ისევე მოახერხებს ახალი წლის დღეებში მაყურებლის ეკრანებთან მოზიდვას, როგორც ეს წლების წინ ორიგინალმა ვარიანტმა შესძლო — აცხადებს რეჟისორი.

მსოფლიო უბანანოდ დარჩება?

დაავადებამ, სახელწოდებით Tropical Race 4 (TR4), ჯერ კიდევ მე-20 საუკუნეში აქტიურად დაიწყო გავრცელება აზიისა და ავსტრალიის ტერიტორიაზე. 2019 წელს ის პირველად დააფიქსირეს ჩრდილოეთ ამერიკაშიც. მისი სწრაფი გავრცელების გამო მსოფლიო, შესაძლოა, ბანანის გარეშე დარჩეს. კოლუმბიასა და ჰონდურასში პირველი პლანტაციები უკვე დაიხურა. აღსანიშნავია, რომ დაავადება ქიმიკატების დახმარებით არ იკურნება და ამის გამო აუცილებელია ხეების ნიადაგიდან ამოღება მინიმუმ 30-40 წლით.

დაავადების ნიადაგში მცირე რაოდენობით დარჩენის შემთხვევაშიც კი პლანტაციები, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს.

მოამზადეს რუსუდან ქოგულიამ და კახა ქორიძემ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 19 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4432; ევრო - 4.1177;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7375;
100 რუბლი - 4.5431; თურქული ლირა - 0.4265;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0235;
1000 სომხური დრამი - 6.6439.

ამინდი 16 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +19
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5 დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე +2 დღე +21
თბილისი: ღამე +9, დღე +21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge